

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტი**

**ნ.კვატაშია**

**ფინანსური აღრიცხვა - II  
ამოცანების კრებული**



**თბილისი 2018**

ამოცანების კრებული მომზადებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, საგანში „ფინანსური აღრიცხვა-II“. მასში განხილულია სილაბუსით გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პრაქტიკული მასალა ამოცანების სახით (ბასს 7, 8, 10, 17, 19, 20, 26, 32 36, 37, 39, 40. ფასს 9).

ამოცანათა კრებული მომზადებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ასოცირებული პროფესორის ნ.კვატაშიძის მიერ. ნაშრომი განკუთვნილია თსუ მაგისტრანტებისათვის, ასევე ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, პრაქტიკოს-მუშაკთათვის, ფინანსური ანგარიშგების საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

**რედაქტორი:**

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე.

## შინაარსი

### თემა 1. ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ბასს 7) .....7-32

1. ამოცანა 1. სს „თამარიონი“-ს ფულადი ნაკადები
2. ამოცანა 2. სს „მერიდიანი“-ს ფულადი ნაკადები
3. ამოცანა 3. შპს „თბილპროექტი“-ს ფულადი ნაკადები
4. ამოცანა 4. სს „კავკას-ტური“-ს ფულადი ნაკადები
5. ამოცანა 5. სს „პოკოლო“-ს ფულადი ნაკადები

### თემა 2. სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში

#### და შეცდომები (ბასს 8) .....33-40

6. ამოცანა 1. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები – მარაგის შეფასების მეთოდის შეცვლის აღრიცხვა პერსპექტიულად
7. ამოცანა 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები – საპროცენტო თანხის კაპიტალიზება პერსპექტიულად
8. ამოცანა 3. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები – ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადის შეცვლა
9. ამოცანა 4. შეცდომების კორექტირება – კაპიტალიზებული ხარჯები

### თემა 3. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები (ბასს 10) .....41-43

10. ამოცანა 1. ავეჯის საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები
11. ამოცანა 2. ღვინის საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

### თემა 4. იჯარა (ბასს 17) .....44-56

12. ამოცანა 1. მთლიანი (ბრუტო) და წმინდა (ნეტო) საიჯარო ინვესტიცია
13. ამოცანა 2. საწყობის შენობის მინიმალური საიჯარო გადასახდელები
14. ამოცანა 3. საოფისე შენობის მინიმალური საიჯარო გადასახდელები

15. ამოცანა 4. ფინანსური იჯარა გარანტირებული და არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულებით

16. ამოცანა 5. ფინანსური იჯარით მიღებული სტამბის საბეჭდი მოწყობილობა

**თემა 5. სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა (ბასს 20) .....57-63**

17. ამოცანა 1. აქტივებთან დაკავშირებული გრანტის აღიარება შემოსავალ-მეთოდით

18. ამოცანა 2. აქტივებთან დაკავშირებული გრანტის აღიარება კაპიტალ-მეთოდით

19. ამოცანა 3. არამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტის აღრიცხვა

20. ამოცანა 4. გრანტების განაწილება - კომპონენტებად დაყოფა

21. ამოცანა 5. გრანტი გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით

22. ამოცანა 6. გრანტის დაბრუნება ფულის სახით.

23. ამოცანა 7. გრანტის დაბრუნება ფულის და აქტივის სახით

**თემა 6. საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება (ბასს 26)..... 64-72**

24. ამოცანა 1. დადგენილშენატანიანი პროგრამა

25. ამოცანა 2. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა ვალდებულება

26. ამოცანა 3. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის საპროცენტო ხარჯი

27. ამოცანა 4. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა პროცენტი (შემოსავალი/ხარჯი)

28. ამოცანა 5. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის მიმდინარე მომსახურებისა და საპროცენტო ხარჯი (ბასს 19)

29. ამოცანა 6. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის აღრიცხვის ტიპური ოპერაციები

30. ამოცანა 7. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში (PWC)

**თემა 7. ინვესტიციების აღრიცხვა (ბასს 32, 39, 40) .....73-89**

31. ამოცანა 1. ფულადი სერტიფიკატის შექმნა

32. ამოცანა 2. ობლიგაციის შექმნა საბაზრო საპროცენტო განაკვეთით

- 33. ამოცანა 3 ობლიგაციის შექმნა დისკონტით (ფასდაკლებით)
- 34. ამოცანა 4. ობლიგაციის შექმნა პრემიით (ფასნამატი)
- 35. ამოცანა 5. სასაქონლო თამასუქი
- 36. ამოცანა 6. მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნა
- 37. ამოცანა 7. უპროცენტო თამასუქის შექმნა
- 38. ამოცანა 8. საინვესტიციო ქონების (გაცემული ფინანსური იჯარით) შეფასება გადაფასების მოდელით (ბასს 16)
- 39. ამოცანა 9. ჩვეულებრივი იჯარით გაცემული ქონების კლასიფიცირება საინვესტიციო ქონებად
- 40. ამოცანა 10. რეალური ღირებულებით შეფასებული ქონების ღირებულების ცვლილების ასახვა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში
- 41. ამოცანა 11. საინვესტიციო ქონების კატეგორიის შეცვლა

**თემა 8. ფინანსური ინსტრუმენტები (ფასს 9) .....90-99**

- 42. ამოცანა 1. ობლიგაციის გამოშვება საბაზრო საპროცენტო განაკვეთით
- 43. ამოცანა 2. ობლიგაციის გამოშვება დისკონტით
- 44. ამოცანა 3. ობლიგაციის გამოშვება პრემიით (ფასნამატი)
- 45. ამოცანა 4. მოკლევადიანი სათამასუქო ვალდებულება
- 46. ამოცანა 5. უპროცენტო სათამასუქო ვალდებულება
- 47. ამოცანა 6. ინვესტიციები მოკლევადიან წილობრივ ინსტრუმენტებში
- 48. ამოცანა 7. ინვესტიციები გრძელვადიან წილობრივ ინსტრუმენტებში

**თემა 9. აქტივების გაუფასურება (ბასს 36).....100-109**

- 49. ამოცანა 1. სპორტული კლუბის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულები
- 50. ამოცანა 2. ავტოსატრანსპორტო საწარმოს ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულები
- 51. ამოცანა 3. ჩარხის გამოყენების ღირებულება

- 52. ამოცანა 4. გაუფასურების ზარალის განსაზღვრა
- 53. ამოცანა 5. პლასტმასის საწარმოს კონკრეტული აქტივების გაუფასურების ზარალის განსაზღვრა
- 54. ამოცანა 6. გუდვილი და გაუფასურების ზარალი
- 55. ამოცანა 7. კორპორაციული აქტივები და გაუფასურების ზარალი
- 56. ამოცანა 8. ღვინის ჩამოსასხმელი ხაზის გაუფასურების ზარალის აღრიცხვა

**თემა 10. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი**

**აქტივები (ზასს 37).....110-122**

- 57. ამოცანა 1. გარანტიები (იურიდიული ვალდებულება)
- 58. ამოცანა 2. დაბინძურებული გარემო (კონსტრუქციული ვალდებულება)
- 59. ამოცანა 3. გადახდილი თანხის დაბრუნების პოლიტიკა (კონსტრუქციული ვალდებულება)
- 60. ამოცანა 4. წამგებიანი ხელშეკრულება
- 61. ამოცანა 5. ექსპლუატაციიდან გამოსვლის ხარჯები
- 62. ამოცანა 6. სასამართლო საქმე
- 63. ამოცანა 7. ფინანსური გარანტიის კონტრაქტი
- 64. ამოცანა 8. საწარმოს რესტრუქტურის ზაცია
- 65. ამოცანა 9. პირობითი აქტივი (სადაზღვევო სარჩელი)
- 66. ამოცანა 10. პირობითი აქტივი (სასამართლო სარჩელი)



**თემა 1. ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

ამოცანა 1. სს „თამარიონი“-ს ფულადი ნაკადები.

სს „თამარიონი“-ს ფინანსური ანგარიშგება:

სს „თამარიონი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

აქტივები	01.01.2017	31.12.2017
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>		
ძირითადი საშუალებები	212,000	172,250
კომპიუტერული პროგრამა	<u>4,000</u>	<u>3,000</u>
სულ გრძელვადიანი აქტივები	216,000	175,250
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>		
საქონელი	75,000	55,000
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	15,000	17,800
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	<u>20,000</u>	<u>47,500</u>
სულ მოკლევადიანი აქტივები	110,000	120,300
<b>სულ აქტივები</b>	<b>326,000</b>	<b>295,550</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>		
საწესდებო კაპიტალი	5,000	5,000
გაუნაწილებელი მოგება	<u>157,950</u>	<u>185,492</u>
სულ საკუთარი კაპიტალი	162,950	190,492
<b>გრძელვადიანი სესხი</b>		52,500
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		
მოგების გადასახადი	63,050	15,608
გადასახდელი პროცენტი		1,750
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	<u>100,000</u>	<u>35,200</u>
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	163,050	52,558

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	326,000	295,550
--	---------	---------

**სს „თამარიონი“-ს 2017 წლის  
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
(ლარი)**

ამონაგები	300,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(149,300)
<b>საერთო მოგება</b>	<b>150,700</b>
სხვა შემოსავალი (ა/მანქანის რეალიზაცია)	2,000
კომერციული ხარჯები	(3,200)
ადმინისტრაციული ხარჯები	(72,850)
სხვა ხარჯები (მარაგის ჩამოწერა ნსდ-დე)	(2,500)
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>74,150</b>
ფინანსური დანახარჯები	(1,750)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>72,400</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	(14,858)
<b>წმინდა მოგება</b>	<b>57,542</b>

**დამატებითი ინფორმაცია:**

1. მოწყობილობას ჩაუტარდა 3,500 ლარის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია სრულად;
2. შეძენილია ოფისის აღჭურვილობა 3,000 ლარად, ღირებულება ანაზღაურებულია სრულად;
3. 14,000 ლარად გაიყიდა მანქანა, რომლის თვითღირებულება 15,000 ლარია, დაგროვილი ცვეთა – 3,000 ლარი. ღირებულება ანაზღაურებულია;
4. მაისში ჩატარდა დამფუძნებელთა კრება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2015 წლის მოგებიდან 30,000 ლარის დივიდენდების გაცემის შესახებ. დივიდენდები გაიცა ივნისში.

5. ადმინისტრაციული ხარჯების სტრუქტურა:

ადმინისტრაციული ხარჯების სტრუქტურა	ლარი
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	35,250
ხელფასი	11,600
საშემოსავლო გადასახადი	2,900
უიმედო დებიტორული დავალიანება	8,000
სხვა ხარჯები	<u>15,100</u>
<b>სულ ხარჯები</b>	<b>72,850</b>

დავალება: მოამზადეთ ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

პასუხი:

2017 წლის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები (გ.1)	289,200	
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (გ.2)	(214,900)	
თანამშრომლებზე და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები (გ.3)	<u>(14,500)</u>	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	59,800	
გადახდილი პროცენტი	0	
გადახდილი მოგების გადასახადი (გ.4)	(62,300)	
გადახდილი დივიდენდები (იხ. პ.4)	<u>(30,000)</u>	
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>(32,500)</b>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა და რეკონსტრუქცია (იხ. პ.1, 2)	(6,500)	
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები (იხ. პ.3)	<u>14,000</u>	
<b>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>7,500</b>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		

შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან (იხ.ბალანსი)	<u>52,500</u>	
<b>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<u>52,500</u>
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		27,500
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		20,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		47,500

**განგარისება 1. კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები (ლარი):**

მოთხოვნების საწყისი ნაშთი	15,000
გაყიდვები	300,000
ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები (3.5)	(8,000)
მოთხოვნების საბოლოო ნაშთი	<u>(17,800)</u>
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	289,200

**განგარიშება 2. მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (ლარი):**

კრედიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი	100,000
შესყიდვები: მარაგი*	131,800
ადმინისტრაციული ხარჯები (იხ. 3.5)	15,100
კომერციული ხარჯები	3,200
კრედიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი	<u>(35,200)</u>
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	214,900

**\* მარაგის შესყიდვა (ლარი)**

საწყისი ნაშთი	75,000
შესყიდვები (დამაბალანსებელი)	131,800
ჩამოფასება ნსლ-დე (იხ. მ/ზ)	(2,500)
საბოლოო ნაშთი	<u>(55,000)</u>
რეალიზებულის თვითღირებულება	149,300

**გაანგარიშება 3. თანამშრომლებზე და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები (ლარი):**

მე-5 დამატებითი პირობის თანახმად:

ხელფასის ხარჯი	11,600
საშემოსავლო გადასახადი	<u>2,900</u>
	14,500

აღიარებული ხარჯი გადახდილია, ვინაიდან ბალანსში არ არის გადასახდელი ხელფასისა და საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებების ნაშთი.

**გაანგარიშება 4. გადახდილი მოგების გადასახადი (ლარი):**

მოგების გადასახადის საწყისი ნაშთი	63,050
დარიცხული ხარჯი (იხ. მ/ზ)	14,858
მოგების გადასახადის საბოლოო ნაშთი	<u>(15,608)</u>
გადახდილი მოგების გადასახადი	62,300

**2017 წლის**

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით**

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
მოგება დაბეგვრამდე	72,400	
კორექტირებები შემდეგი მუხლებისათვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია (იხ. პ.5)	35,250	
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან (იხ. პ.3)	(2,000)	
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	<u>1,750</u>	
	107,400	
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა შემცირება	20,000	
დებიტორული დავალიანების ზრდა	(2,800)	
მომწოდებელთა კრედიტორული დავალიანების შემცირება	<u>(64,800)</u>	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	59,800	
გადახდილი პროცენტი	0	

გადახდილი მოგების გადასახადი (იხ. გ.4)	(62,300)	
გადახდილი დივიდენდები (იხ. პ.4)	(30,000)	(32,500)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა და რეკონსტრუქცია	(6,500)	
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები	14,000	
<b>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		7,500
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან	52,500	
<b>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		52,500
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		27,500
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		20,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		47,500

**ამოცანა 2. სს „მერიდიანი“-ს ფულადი ნაკადები.**

სს „მერიდიანი“-ს ფინანსური ანგარიშგება:

სს „მერიდიანი“-ს 2017 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

აქტივები	2015წ.	2016წ.
მოწყობილობები	57,000	162,000
მობილური მიწოდებიდან	150,000	90,000
მარაგი	210,000	250,000
ფულადი სახსრები	185,000	293,000
<b>სულ აქტივები</b>	<b>602,000</b>	<b>795,000</b>
საწესდებო კაპიტალი	20,000	20,000
გაუნაწილებელი მოგება	500,000	600,000

მოწყობილობების გადაფასების რეზერვი		20,000
სულ კაპიტალი	520,000	640,000
ვალდებულებები		
მოგების გადასახადი	35,000	15,000
ვალდებულება ფინანსური იჯარაზე		40,000
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	40,000	95,000
გადასახდელი ხელფასი	7,000	5,000
სულ ვალდებულებები	82,000	155,000
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	602,000	795,000

სს „მერიდიანი“-ს 2017 წლის მოგებისა და ზარალის  
და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)  
ანგარიშგება

შემოსავალი რეალიზაციიდან	400,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(150,000)
საერთო მოგება	250,000
ხელფასის ხარჯი	(20,000)
ცვეთის ხარჯი	(5,000)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(20,000)
საპროცენტო ხარჯი	(5,000)
დასაბეგრი მოგება	200,000
მოგების გადასახადი	(30,000)
წმინდა მოგება	170,000

დამატებითი ინფორმაცია მიმდინარე წელს განხორციელებული ოპერაციების შესახებ:

1. მარაგი შესყიდულია 190 ათასი ლარის ოდენობით;
2. გაცემულია 70 ათასი ლარის დივიდენდები;

3. ფინანსური იჯარის მთლიანი ვალდებულების დასაფარავად გადადილია 25 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს პროცენტს – 5 ათას ლარს;

4. სააღრიცხვო პოლიტიკით დივიდენდების გადახდა მიეკუთვნება საოპერაციო საქმიანობას.

დავალება: მოამზადეთ ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

პასუხი:

**სს „მერიდიანი“-ს 2017 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
პირდაპირი მეთოდით**

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ათასი ლარი	ათასი ლარი
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები (გ.1)	460	
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (გ.2)	(155)	
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები (გ.3)	(22)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	283	
გადახდილი პროცენტები (გ.4)	(5)	
გადახდილი მოგების გადასახადი (გ.5)	(50)	
გადახდილი დივიდენდები (გ.6)	(70)	
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		158
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა (გ.7)	(30)	
<b>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		(30)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსური იჯარის ვალდებულების დაფარვა (გ.8)	(20)	
<b>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		(20)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		108
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		185

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		293
---	--	-----

**განგარიშება 1. კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები (ათასი ლარი):**

მოთხოვნების საწყისი ნაშთი	150
გაყიდვები	400
მოთხოვნების საბოლოო ნაშთი	(90)
მიღებული ფულადი სახსრები	460

**განგარიშება 2. მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (ათასი ლარი):**

კრედიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი	40
მარაგის შესყიდვა (პ.1)	190
სხვა შესყიდვები (ადმინისტრაციული ხარჯები)	20
კრედიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი	(95)
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფული	155

**განგარიშება 3. თანამშრომლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (ათასი ლარი):**

გადასახდელი ხელფასის საწყისი ნაშთი	7
დარიცხული ხელფასი	20
გადასახდელი ხელფასის საბოლოო ნაშთი	(5)
თანამშრომლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	22

**განგარიშება 4. გადახდილი პროცენტები:**

პირობაში მოცემულია, რომ მიმდინარე წელს ფინანსური იჯარით შეძენილ მოწყობილობებზე გადახდილია საიჯარო ვალდებულება 25 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს 5 ათას პროცენტის სახით.

**განგარიშება 5. გადახდილი მოგების გადასახადი (ათასი ლარი):**

გადასახდელი მოგების გადასახადის საწყისი ნაშთი	35
დარიცხული მოგების გადასახადი	30
გადასახდელი მოგების გადასახადის საბოლოო ნაშთი	(15)
გადახდილი ფულადი სახსრები	50

**განგარიშება 6. გადახდილი დივიდენდები:**

დამატებითი ინფორმაციით (პირობა 1) გადახდილია 70 ათასი ლარის დივიდენდები.

**განგარიშება 7. გრძელვადიანი აქტივების (მოწყობილობების) შეძენა (ათასი ლარი):**

მოწყობილობების საბალანსო ღირებულების საწყისი ნაშთი	57
შეძენა ფულით (დამაბალანსებელი)	30
აფასება (იხ.ბალანსი)	20
შეძენა ფინანსური იჯარით*	60
მიმდინარე წლის ცვეთა	(5)
მოწყობილობების საბალანსო ღირებულების საბოლოო ნაშთი	162

\*ბალანსის მონაცემებით ფინანსური იჯარის ვალდებულების ნაშთია 40 ათასი ლარი. ამოცანის მე-3 პირობით მიმდინარე პერიოდში დაიფარა ფინანსური იჯარის ვალდებულება 25 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს 5 ათასი ლარის პროცენტს, ე.ი. ვალდებულების ძირითადი თანხა არის 20 ათასი ლარი. ამდენად, ფინანსური იჯარით აღებული აქტივი შეფასებულია 60 ათასი ლარით (40+20).

**განგარიშება 8. ფინანსური იჯარის ვალდებულების დაფარვა (ათასი ლარი):**

დამატებითი ინფორმაციით (პირობა 3) მთლიან ფინანსური იჯარის ვალდებულების დასაფარავად საანგარიშგებო პერიოდში გადახდილია 25 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს 5 ათას ლარს პროცენტს. ამდენად, ფინანსური იჯარის ვალდებულების ძირითადი თანხა შეადგენს 20 ათას ლარს.

2017 წლის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით (ათასი ლარი)

<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მოგება დაბეგვრამდე	200	
კორექტირებები შემდეგი მუხლებისათვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია (იხ. მ/ზ)	5	
დარიცხული საპროცენტო ხარჯი (იხ. მ/ზ)	5	
	210	
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზრდა	(40)	
დებიტორული დავალიანების შემცირება	60	
სახელფასო ვალდებულების შემცირება	(2)	
მომწოდებელთა კრედიტორული დავალიანების ზრდა	55	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	283	
გადახდილი პროცენტი (იხ. გ.4)	(5)	
გადახდილი მოგების გადასახადი (გ.5)	(50)	
გადახდილი დივიდენდები (იხ. პ.6)	(70)	
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		158
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა (გ.7)	(30)	
<b>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		(30)
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
ფინანსური იჯარის ვალდებულების დაფარვა (გ.8)	(20)	
<b>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		(20)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		<b>108</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		185
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		293

ამოცანა 3. შპს „თბილპროექტი“-ს ფულადი ნაკადები.

შპს „თბილპროექტი“-ს ფინანსური ანგარიშგება:

<b>შპს თბილპროექტის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017წ. 31 დეკემბრისათვის (ლარი)</b>		
	2016წ.	2017წ.
შენობა	185,700	215,700
კომპიუტერული ტექნიკა	63,300	28,000
არამატერიალური აქტივები	145,400	155,000
მოთხოვნები	32,300	99,300
ფულადი სახსრები	97,000	55,200
<b>სულ აქტივები</b>	<b>523,700</b>	<b>553,200</b>
საწესდებო კაპიტალი	50,000	50,000
გაუნაწილებელი მოგება	250,000	333,600
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>300,000</b>	<b>383,600</b>
გრძელვადიანი სესხი	190,000	152,600
მოგების გადასახადი	15,200	10,000
გადასახდელი ხელფასი	18,500	7,000
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>223,700</b>	<b>169,600</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>523,700</b>	<b>553,200</b>

**შპს თბილპროექტის 2017 წლის მოგებისა და ზარალის  
და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)**

შემოსავალი	400,000
მოგება კომპიუტერების რეალიზაციიდან	<u>10,000</u>
	410,000
შენობის ცვეთა	(20,000)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(35,400)
კომპიუტერული ტექნიკის ცვეთა	(15,300)
ხელფასის ხარჯი	(140,000)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(50,000)
უიმედო დებიტორული დავალიანება	(23,000)

საპროცენტო ხარჯი	(22,700)
სულ ხარჯი	(306,400)
მოგება დაბეგვრამდე	103,600
მოგების გადასახადი	(20,000)
წმინდა მოგება	83,600

**დამატებითი ინფორმაცია:**

1. შენობას ჩაუტარდა კაპიტალიზებადი რემონტი, რაზედაც დაიხარჯა 50,000 ლარი;
2. 30,000 ლარად გაიყიდა კომპიუტერული ტექნიკის რამდენიმე ერთეული, რომელთა საბალანსო ღირებულება 20,000 ლარია;
3. პროექტზე არამატერიალურ აქტივად აღიარებამდე დაიხარჯა 45,000 ლარი.

**დავალება:** მოამზადეთ ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

**პასუხი:**

**2017 წლის**

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით**

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები (გ.1)	310,000	
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (გ.2)	(50,000)	
თანამშრომლებზე და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები (გ.3)	(151,500)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	108,500	
გადახდილი პროცენტი (იხ. გ.2)	(22,700)	
გადახდილი მოგების გადასახადი (გ.4)	(25,200)	
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>60,600</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების კაპიტალიზებული რემონტი (იხ. პ.1)	(50,000)	
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები (იხ. პ.2)	30,000	
არამატერიალური აქტივების კაპიტალიზებული ხარჯები (იხ.პ.3)	(45,000)	

საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(65,000)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი სესხის დაფარვა	(37,400)	
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(37,400)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(41,800)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		97,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		55,200

**განგარიშება 1. კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები (ლარი):**

მოთხოვნების საწყისი ნაშთი	32,300
გაყიდვები	400,000
ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები	(23,000)
მოთხოვნების საბოლოო ნაშთი	(99,300)
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	310,000

**განგარიშება 2. მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (ლარი):**

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახულია მუხლი "სხვა ხარჯები" 50,000 ლარის ოდენობით. ხოლო ბალანსში არ არის ვალდებულება, ე.ი. აღიარებული ხარჯი სრულად იქნა გადახდილი.

ანალოგიურად. საპროცენტო ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 22,700 ლარია, ხოლო ბალანსში არ არის ვალდებულება გადასახდელი პროცენტით, ე.ი. აღიარებული ხარჯი სრულად იქნა გადახდილი.

**განგარიშება 3 მომუშავეებზე გადახდილი ფულადი სახსრები (ლარი):**

გადასახდელი ხელფასის საწყისი ნაშთი	18,500
დარიცხული ხელფასი	140,000

გადასახდელი ხელფასის საბოლოო ნაშთი	(7,000)
მომუშავეებზე გადახდილი ფულადი სახსრები	151,500

**განგარიშება 4. გადახდილი მოგების გადასახადი (ლარი):**

მოგების გადასახადის საწყისი ნაშთი	15,200
დარიცხული ხარჯი	20,000
მოგების გადასახადის საბოლოო ნაშთი	(10,000)
გადახდილი მოგების გადასახადი	25,200

**2017 წლის**

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით**

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
მოგება დაბეგვრამდე	103,600	
კორექტირებები შემდეგი მუხლებისათვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია (20,000+35,400+15,300)	70,700	
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან (იხ. პ.2)	(10,000)	
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	22,700	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	187,000	
დებიტორული დავალიანების ზრდა	(67,000)	
გადასახდელი ხელფასის ვალდებულების შემცირება	(11,500)	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	108,500	
გადახდილი პროცენტი	(22,700)	
გადახდილი მოგების გადასახადი (იხ. გ.4)	(25,200)	
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		60,600
ძირითადი საშუალებების კაპიტალიზებული რემონტი (იხ, პ.1)	(50,000)	
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები (იხ. პ.2)	30,000	
არამატერიალური აქტივების კაპიტალიზებული ხარჯები (იხ.პ.3)	(45,000)	
<b>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		(65,000)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი სესხის დაფარვა	(37,400)	
<b>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(37,400)</b>
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(41,800)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		97,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		55,200

ამოცანა 4. სს „კავკასტური“-ს ფულადი ნაკადები.

სს „კავკასტური“-ს ფინანსური ანგარიშგება:

**სს „კავკასტური“-ს ფინანსური მდგომარეობის  
ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)**

მაჩვენებლები	2015წ.	2016წ.
ძირითადი საშუალებები	120,000	144,400
ინვესტიცია საწარმოებში	250,800	250,800
მარაგი	250,000	180,000
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	45,900	85,900
გაცემული ავანსები	9,800	7,700
სასესხო მოთხოვნა ხაზინის მიმართ (დაიფარება ერთ თვეში)	45,700	55,200
პრივილეგიური აქციები (გამოსყიდვა ორ თვეში)	48,500	11,200
ფულადი სახსრები	50,700	356,700
<b>სულ აქტივები</b>	<b>821,400</b>	<b>1,091,900</b>
საწესდებო კაპიტალი	25,000	75,000
გაუნაწილებელი მოგება	766,400	931,800
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>791,400</b>	<b>1,006,800</b>
კრედიტორული დავალიანება (სხვა ადმინისტრ. ხარჯები)	30,000	45,100

კრედიტორული დავალიანება (ძირითად საშუალებებზე)		40,000
სულ ვალდებულებები	30,000	85,100
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>821,400</b>	<b>1,091,900</b>

**სს „კავკასტური“-ს 2017 წლის მოგებისა და ზარალის და სხვა  
სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)**

შემოსავალი	790,500
მიღებული დივიდენდები	<u>55,500</u>
	846,000
რსთ	490,000
ძირითადი საშუალებების ცვეთა	55,600
ხელფასის ხარჯი	38,800
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	44,200
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ზარალი	<u>22,000</u>
სულ ხარჯი	650,600
მოგება დაბეგვრამდე	195,400
მოგების გადასახადი	<u>30,000</u>
წმინდა მოგება	165,400

დამატებითი ინფორმაცია: მიმდინარე წელს შესყიდული იქნა 420,000 ლარის მარაგი.

დავალება: მოამზადეთ ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

პასუხი:

2017 წლის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები (გ.1)	750,500	

მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (გ.2)	(449,100)	
თანამშრომლებზე და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(38,800)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	262,600	
გადახდილი მოგების გადასახადი	(30,000)	
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>232,600</b>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა (გ.3)	(40,000)	
მიღებული დივიდენდები	55,500	
გაცემული ავანსების დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები	2,100	
<b>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>17,600</b>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის გაზრდა (იხ.ბალანსი)	50,000	
<b>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>50,000</b>
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(22,000)
<b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (გ.4)</b>		<b>278,200</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		144,900
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		423,100

**განგარისება 1. კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები (ლარი):**

მოთხოვნების საწყისი ნაშთი	45,900
გაყიდვები	790,500
მოთხოვნების საბოლოო ნაშთი	(85,900)
<b>კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები</b>	<b>750,500</b>

**განგარიშება 2. მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (ლარი):**

კრედიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი	30,000
--	--------

შესყიდვები: მარაგი	420,000
ადმინისტრაციული ხარჯები	44,200
კრედიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი	<u>(45,100)</u>
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	449,100

**განგარიშება 3. ძირითადი საშუალებების შეძენა (ლარი):**

საწყისი ნაშთი	120,000
შეძენა (დამაბალანსებელი)	80,000
ცვეთა	<u>(55,600)</u>
საბოლოო ნაშთი	144,400

**ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფული (ლარი):**

შეძენილი	80,000
დარჩენილი ვალდებულება <u>(40,000)</u>	
გადახდილი	40,000

**განგარიშება 4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.**

მაჩვენებლები	2016წ.	2017წ.	ცვლილება
სასესხო მოთხოვნა ხაზინის მიმართ (დაიფარება ერთ თვეში)	45,700	55,200	
პრივილეგიური აქციები (გამოსყიდვა ორ თვეში)	48,500	11,200	
ფულადი სახსრები	<u>50,700</u>	<u>356,700</u>	
	144,900	423,100	+278,200
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება		(22,000)	

**2017 წლის**

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით**

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
--	------	------

მოგება დაბეგვრამდე	195,400	
კორექტირებები შემდეგი მუხლებისათვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	55,600	
ზარალი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით	22,000	
დარიცხული მისაღები დივიდენდები	(55,500)	
	217,500	
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა შემცირება	70,000	
დებიტორული დავალიანების ზრდა	(40,000)	
კრედიტორული დავალიანების ზრდა	15,100	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		
გადახდილი მოგების გადასახადი	(30,000)	
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>232,600</b>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა (გ.3)	(40,000)	
მიღებული დივიდენდები	55,500	
სხვა პირებზე გაცემული ავანსების დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები	2,100	
<b>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>17,600</b>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის გაზრდა	50,000	
<b>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>50,000</b>
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(22,000)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (გ.4)		278,200
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		144,900
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		423,100

ამოცანა 5. სს „პიკოლო“-ს ფულადი ნაკადები.

სს „პიკოლო“-ს ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017წ 31 დეკემბრისათვის (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2017წ.	2016წ.	ცვლ.
<b>აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	150	95	55
არამატერიალური აქტივები	25	20	5
ინვესტიციები	<u>74</u>	<u>31</u>	43
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>249</b>	<b>146</b>	
მარაგი	450	300	150
მოთხოვნები	43	48	-5
ბანკი	<u>206</u>	<u>220</u>	-14
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>	<b>699</b>	<b>568</b>	
<b>სულ აქტივები</b>	<b>948</b>	<b>714</b>	
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
აქციები	180	160	20
საემისიო კაპიტალი	104	80	24
გაუნაწილებელი მოგება	330	320	10
ძირ.საშ-ის გადაფასების რეზერვი	<u>54</u>	<u>35</u>	19
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>	<b>668</b>	<b>595</b>	
<b>ვალდებულებები</b>			0
გრძელვადიანი სესხი	148	52	96
მოკლევადიანი სესხი	25	16	9
მოგების გადასახადი	12	15	-3
გადასახდელი პროცენტი	6	3	3
გადასახდელი დივიდენდები	8	10	-2
კრედიტორული დავალიანება (მარაგი)	58	23	35
კრედიტორული დავალიანება (ძირ.საშ.)	<u>23</u>	<u>0</u>	23
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>280</b>	<b>119</b>	
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>948</b>	<b>714</b>	

**2017 წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

**(ათასი ლარი)**

საქონლის რეალიზაცია: შემდგომი გადახდის პირობით		350
ნაღდი ანგარიშსწებით		<u>32</u>
		382
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		<u>250</u>
<b>საერთო მოგება</b>		<b>132</b>
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	6	
ცვეთა	35	
ამორტიზაცია	14	
ადმინისტრაციული ხარჯები (დაიფარა სესხით)	9	
ადმინისტრაციული ხარჯები (გადაუხდელი)	35	
უიმედო დებიტორული დავალიანების ხარჯი	<u>5</u>	
სულ ხარჯები	104	
<b>საოპერაციო მოგება</b>		<b>28</b>
საპროცენტო ხარჯი	15	
<b>დასაბეგრი მოგება</b>		<b>13</b>
მოგების გადასახადი	3	
<b>წმინდა მოგება</b>		<b>10</b>

**დამატებითი ინფორმაცია:**

	ათასი ლარი
<b>1. შესყიდვები შემდგომი გადახდის პირობით:</b>	
- საქონელი (სრულად იქნა გადახდილი)	400
- ადმინისტრაციული ხარჯები (სრულად დარჩა გადაუხდელი)	35
- ძირითადი საშუალებები (გადახდილია მხოლოდ 42 ათასი ლარი)	65
<b>2. ადმინისტრაციული ხარჯები განხორციელებული მოკლევადიანი კრედიტით</b>	<b>9</b>
<b>3. ამონაგები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომლის საბალანსო ღირებულება 15 ათასი ლარია</b>	<b>9</b>

4. მიმდინარე წელს დივიდენდები არ გამოცხადებულა.	

დავალება: მოამზადეთ 2017 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

პასუხი:

**2017 წ. ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით**

1. საოპერაციო საქმიანობა	ათასი ლარი	
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები (მ/ზ)	32	
დებიტორებისაგან მიღებული ფულადი სახსრები (გ.2)	350	
კრედიტორებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები (გ.3)	-400	
გადახდილი პროცენტი (3+15-6)	-12	
გადახდილი დივიდენდი (8-10)	-2	
გადახდილი მოგების გადასახადი (15+13-12)	<u>-6</u>	<b>-38</b>
2. საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია (კ.2)	9	
ძირითადი საშუალებების შეძენა ნაღდი ანგარიშსწორებით (გ.4)	-21	
ინვესტიციების შეძენა (31-74)	-43	
არამატერიალური აქტივების შეძენა (გ.6)	-19	
კრედიტორული დავალიანების დაფარვა (გ.3)	<u>-42</u>	<b>-116</b>
3. საფინანსო საქმიანობა		
აქციების ემისია (180-160)	44	
სესხის ზრდა (148-52)	<u>96</u>	<b>140</b>
		<b>-14</b>

**2017წ. ფულადი ნაკადების ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით**

საოპერაციო საქმიანობა	ათასი ლარი
<b>წმინდა მოგება</b>	<b>10</b>
დარიცხული მოგების გადასახადი	3
გადახდილი მოგების გადასახადი	-6
დარიცხული პროცენტი	15
გადახდილი პროცენტი	-12
გადახდილი დივიდენდი	-2
ზარალი ძირითადი საშ-ის რეალიზაციიდან	6
ცვეთა	35
ამორტიზაცია	14
უიმედო დებიტორული დავალიანების ხარჯი	5
მარაგის ზრდა	-150
კრედიტორული დავალიანების ზრდა (შესყიდვები)	35
მოკლევადიანი კრედიტის ზრდა (ადმინისტრაციული ხარჯები)	9
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>-38</b>

**ბანკის ანგარიში (ათასი ლარი)**

დებიტი		კრედიტი	
<b>ნაშთი</b>	<b>220</b>	ძირითადი საშალეების შეძენა	21
მიღებული დებიტორული დავალიანება	350	შესყიდვები - მარაგი	400
ძირითადი საშალეების რეალიზაცია	9	შესყიდვები - ძირითადი საშალეები	42
აქციების ემისია	44	ინვესტიციების შეძენა	43
სესხის აღება	96	არამატერიალური აქტივების შეძენა	19
ნაღდი გაყიდვები	32	პროცენტის გადახდა	12
		მოგების გადასახადის გადახდა	6
		დივიდენდების გადახდა	2
<b>ბრუნვა</b>	<b>531</b>	<b>ბრუნვა</b>	<b>545</b>
<b>ნაშთი</b>	<b>206</b>		

**განგარიშება 1.**

<b>მარაგი</b>	<b>ათასი ლარი</b>
საწყისი ნაშთი	300
შესყიდვები	400
საბოლოო ნაშთი	-450
<b>რსთ</b>	<b>250</b>

**განგარიშება 2.**

<b>დებიტორული დავალიანება</b>	<b>ათასი ლარი</b>
საწყისი ნაშთი	48
გაყიდვები	350
უიმედო დებიტორები	-5
<b>მიღებული ფულადი სახსრები</b>	<b>-350</b>
საბოლოო ნაშთი	43

**განგარიშება 3. (ათასი ლარი)**

<b>კრედიტორული დავალიანება</b>	<b>მარაგი</b>	<b>ძირ.საშ.</b>
საწყისი ნაშთი	23	0
შესყიდვები - მარაგი	<b>400</b>	
შესყიდვები - ძირითადი საშუალებები		65
შესყიდვები -ადმინისტრაცია	35	
<b>გადახდილი ფულადი სახსრები</b>	<b>-400</b>	<b>-42</b>
საბოლოო ნაშთი	58	23

**განგარიშება 4.**

<b>ძირითადი საშუალებები</b>	<b>ათასი ლარი</b>
საწყისი ნაშთი	95
<b>შეძენა ფულით</b>	<b>21</b>

შეძენა კრედიტით	65
აფასება	19
ცვეთა	-35
გასვლა	-15
საბოლოო ნაშთი	150

**განგარიშება 5.**

<b>ძირითადი საშუალებების გასვლა</b>	<b>ათასი ლარი</b>
ამონაგები	9
საბალანსო ღირებულება	-15
<b>ზარალი</b>	<b>-6</b>

**განგარიშება 6.**

	<b>ათასი ლარი</b>
<b>არამატერიალური აქტივები</b>	
საწყისი ნაშთი	20
<b>შეძენა ფულით</b>	<b>19</b>
ამორტიზაცია	-14
საბოლოო ნაშთი	25



## თემა 2. სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (ბასს 8)

**ამოცანა 1. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები – მარაგის შეფასების მეთოდის შეცვლა პერსპექტიულად.**

აფთიაქი იყენებს მარაგის შეფასების ფიფო მეთოდს. მენეჯერებმა დაასაბუთეს საშუალოშეწონილი მეთოდის გამოყენების უპირატესობა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2018 წლიდან ამ მეთოდზე გადასვლის შესახებ. ასევე, დასაბუთებულ იქნა, რომ მოცემულ ვითარებაში პრაქტიკულად შეუძლებელია მარაგის პოლიტიკის ცვლილების აგრეგირებული/კუმულაციური შედეგის დადგენა და მიღებულ იქნა ცვლილებების პერსპექტიულად ასახვის გადაწყვეტილება.

ერთ-ერთი სახეობის მარაგის ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასებული ფოფო მეთოდით, შეადგენდა 127,100 ლარს:

საქონლის დასახელება- თვალის წვეთები

საქონლის კოდი - 6419716602165

**ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარი)**

შემენის თარიღი	რაოდენობა (ცალი)	ფასი	ღირებულება
28.12.2016	12,500	2.50	31,250
29.12.2016	18,000	3.00	54,000
30.12.2016	<u>13,500</u>	3.10	<u>41,850</u>
	44,000		<b>127,100</b>

აღნიშნულ მარაგთან დაკავშირებით 2018 წლის იანვარში განხორციელდა ორი ოპერაცია: 5 იანვარს გაიყიდა 13,500 ერთეული და 15 იანვარს შეძენილია 20,000 ერთეული, ერთეულის ფასია 3,30 ლარი.

დავალება: ა) ასახეთ მარაგის შეფასების პოლიტიკის ცვლილებები პერსპექტიულად;

ბ) შეაფასეთ მარაგის ნაშთი 2018 წლის 31 იანვრისათვის.

პასუხი:

ა) მარაგის ცვლილებების ასახვა პერსპექტიულად

ცვლილებების პერსპექტიულად ასახვა ნიშნავს იმას, რომ არ კორექტირდება წინა წლების ფინანსური ანგარიშგება და საწარმო მარაგის შეფასებას საშუალოშეწონილი მეთოდით დაიწყებს 2018 წლიდან, ხოლო წლის ბოლოს ნაშთად დარჩენილი მარაგის საშუალოშეწონილი ღირებულება იქნება: 127,100 ლარი/44,000 ცალი = 2.88863 ლარი.

ბ) მარაგის ნაშთი 2018 წლის 31 იანვრისათვის

იანვარში მარაგი შემდეგნაირად შეფასდება:

მარაგი 2018 წლის 31 იანვრისათვის (ლარი)

თარიღი	რაოდენობა (ცალი)	ფასი	ღირებულება
ნაშთი 01.01.2018	44,000	2.88863	127,100
გაყიდვა 05.01.2018	(13,500)	2.88863	(38,997)
შეძენა 15.01.2018	20,000	3.30	66,000
ნაშთი 31.01.2018	50,500	3.05154	154,103

მაგალითი 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები – საპროცენტო თანხის კაპიტალიზება პერსპექტიულად.

2012 წელს საწარმომ დაიწყო ოფისის აშენება, რისთვისაც აღებული ჰქონდა სესხი. საპროცენტო თანხა შეადგენდა: 2012 წელს – 18,000 ლარი, 2013 წელს 12,000 ლარი, ხოლო 2014 წელს – 7,000 ლარი. 2014 წელს ცვლილებები შევიდა სააღრიცხვო პოლიტიკაში – სავალდებულო გახდა პროცენტის თანხის კაპიტალიზება.

საწარმოს მაჩვენებლები (ლარი):

მაჩვენებლები	2012წ.	2013წ.
--------------	--------	--------

საოპერაციო მოგება	138,000	142,000
საპროცენტო ხარჯი	(18,000)	(12,000)
მოგება დაბეგვრამდე	120,000	130,000
მოგების გადასახადი	(18,000)	(19,500)
წმინდა მოგება	102,000	110,500
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი	450,000	552,000

2014 წლის საოპერაციო მოგება შეადგენს 160,000 ლარს, საპროცენტო ხარჯი - 27,000 ლარი, ხოლო მოგების გადასახადი - 24,000 ლარი. მენეჯმენტით დასაბუთებულია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების ასახვა პერსპექტიულად, კერძოდ - მიმდინარე წლიდან.

**დავალება:** მოამზადეთ 2012, 2013 და 2014 წლების მოგებისა და ზარალის და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.

**პასუხი:**

განსაკუთრებული აქტივის შექმნას დიდი ხანი სჭირდება. შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში გამოყენებული ზოგიერთი აქტივის წარმოების ან მშენებლობის პროცესი შეიძლება მრავალი წლის წინ იყოს დამთავრებული. თუ საწარმოს გამოყენებული აქვს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების დაუყოვნებლივ ხარჯად აღიარების სააღრიცხვო პოლიტიკა, მათი რეტროსპექტული კაპიტალიზაციისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვებისა და აქტივის საბალანსო ღირებულების კორექტირების დანახარჯებმა შესაძლოა გადააჭარბოს მის პოტენციურ სარგებლიანობას. აქედან გამომდინარე, ფასს-ის საბჭომ გადაწყვიტა, ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის პერსპექტიული გამოყენების მოთხოვნის შემოღება (იხ.ბასს 8 დს15).

ცხრილი 1

**მოგებისა და ზარალის ანგარიშგება – კორექტირებული პერსპექტიულად (ლარი)**

მაჩვენებლები	2012წ. (არაკორექტირებული)	2013წ. (არაკორექტირებული)	2014წ.
მოგება დაბეგვრამდე	138,000	142,000	160,000
საპროცენტო ხარჯი	(18,000)	(12,000)	0*
მოგება დაბეგვრამდე	<u>120,000</u>	<u>130,000</u>	160,000
მოგების გადასახადი	(18,000)	(19,500)	(24,000)
წმინდა მოგება	102,000	110,500	136,000

\*27,000 ლარის საპროცენტო ხარჯი იქნა კაპიტალიზებული.

ცხრილი 2

ამონარიდი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშებიდან –  
კორექტირებული პერსპექტიულად (ლარი)

მაჩვენებლები	2012წ. (არაკორექტირებული)	2013წ. (არაკორექტირებული)	2014წ.
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი	450,000	552,000	662,500
ცვლილებების კორექტირება	–	–	–
მიმდინარე წლის მოგება	102,000	110,500	136,000
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	552,000	662,500	798,500

ახალი პოლიტიკის შემოღებას წინა წლებზე გავლენა არ მოუხდენია.

**მაგალითი 3. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები – ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადის შეცვლა.**

2015 წლის 1 იანვარს 120,000 ლარად შეძენილ იქნა მოწყობილობა, გამოყენების ვადა განისაზღვრა 5 წელით, ცვეთა თანაბარზომიერად ერიცხებოდა – წელიწადში

24,000 ლარი. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯა 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბერში და გამოყენების ვადა (2017 წლის ჩათვლით) განისაზღვრა 8 წლით.

**დავალება:** ასახეთ პერსპექტიულად გრძელვადიანი აქტივის გამოყენების ვადის შეცვლა.

**პასუხი:**

აქტივის გამოყენების ვადის შეცვლა ასახება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდიდან როდესაც იქნა მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება – 2017 წლიდან. 2017 წლის წლიური ცვეთის თანხა იქნება 9,000 ლარი, ხოლო საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს – 63,000 ლარი (იხ.ცხრილი):

**მოწყობილობის საბალანსო ღირებულება სასარგებლო ვადის შეცვლის შემდეგ  
(ლარი)**

მაჩვენებლები	2016წ. ვადის შეცვლამდე	2017წ ვადის შეცვლის შემდეგ
პირვანდელი ღირებულება	120,000	120,000
2015-2016 წლების დაგროვილი ცვეთა	48,000 (120,000/5წ.*2წ.)	
2016წ. 31 დეკემბერი – საბალანსო ღირებულება ცვეთის ვადის შეცვლამდე	72,000 (120,000-48,000)	
2017წ. წლის ცვეთის ხარჯი (შეცვლილი პერსპექტიულად)		9,000 (72,000/8წ.)
დგროვილი ცვეთა		57,000 (48,000 + 9,000)
2017წ. 31 დეკემბერი – საბალანსო ღირებულება		63,000 (120,000 - 57,000)

აქტივის გამოყენების ვადის შეცვლა არის ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში, ცვლილება არ შეეხება წინა წლების ფინანსურ ანგარიშგებას, ცვლილება ასახება

პერსპექტიულად – გადაწყვეტილების მიღების წელს და მომდევნო სააღრიცხვო პერიოდებში.

**მაგალითი 4. შეცდომების კორექტირება - კაპიტალიზებული ხარჯები.**

საწარმოს წარმოების განვითარების ხარჯები ჰქონდა კაპიტალიზებული - აღიარებული არამატერიალურ აქტივად, რაც ბასს 38-ით დაუშვებელია. 2017 წელს საწარმომ გამოასწორა შეცდომა. საწარმოს მონაცემები (ათასი ლარი):

მაჩვენებლები	2015წ.	2016წ.	2017წ.
წარმოების განვითარების ხარჯები	57	89	100
წლის წმინდა მოგება	500	610	750
მოგების გადასახადი	8,550	13.350	
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი	1,500	2,000	

**დავალება:** მოგეთხოვებათ კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ამონარიდის წარდგენა, როდესაც შეცდომა კორექტირდება რეტროსპექტიულად:

- ა) წინა წლების ფინანსურ ანგარიშგებაში;
- ბ) მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

**პასუხი:**

დაშვებული შეცდომის შედეგი ვლინდება მოგების გაზრდაში (მოგების გადასახადის გაუთვალისწინებლად) 2015 წელს 57 ათასი ლარით, ხოლო 2016 წელს – 89 ათასი ლარით. შესაბამისად, შესამცირებელია მოგება.

**ა) შეცდომის კორექტირება რეტროსპექტიულად წინა წლების ფინანსურ ანგარიშგებაში**

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
2017	გაუნაწილებელი მოგება	5310		57,000
	არამატერიალური აქტივი		2590	57,000
	2015 წელს კაპიტალიზებული ხარჯის პერიოდის ხარჯად აღიარება			
	წინასწარ გადახდილი გადასახადები	1730		8,550
	გაუნაწილებელი მოგება		5310	8,550

	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადის აღიარება			
2017	გაუნაწილებელი მოგება	5310		89,000
	არამატერიალური აქტივი		2590	89,000
	2016 წელს კაპიტალიზებული ხარჯის პერიოდის ხარჯად აღიარება			
	წინასწარ გადახდილი გადასახადები	1730		13,350
	გაუნაწილებელი მოგება		5310	13,350
	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადის აღიარება			

კორექტირების შედეგად გაუნაწილებელი მოგება შემცირდება: 2015 წლის – 48,450 ლარით (57,000-8,550), ხოლო 2016 წლის – 75,650 ლარით ( 89,000-13,350).

**ამონარიდი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებიდან – წინა წლების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება (ლარი)**

	2015წ.	2016წ.	2017წ.
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი	1,500,000	1,951,550	2,485,900
წლის წმინდა მოგება	451,550 (500,000-48,450)	534,350 (610,000-75,650)	750,000
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	1,951,550	2,485,900	<b>3,235,900</b>

**ბ) შეცდომის კორექტირება რეტროსპექტულად - მიმდინარე წლის გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება**

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
2017	გაუნაწილებელი მოგება	5310		146,000
	არამატერიალური აქტივი		2590	146,000
	შეცდომის აგრეგირებული შედეგის კორექტირება - 2015 და 2016 წლებში კაპიტალიზებული ხარჯის პერიოდის ხარჯად აღიარება			
	წინასწარ გადახდილი გადასახადები	1730		21,900
	გაუნაწილებელი მოგება		5310	21,900
	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადის აღიარება			

კორექტირების შედეგად 2017 წლის გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი შემცირდა: 2015 წლის – 48,450 ლარით (57,000-8,550), 2016 წლის 75,650 ლარით ( 89,000-13,350), სულ 124,100 ლარით.

**ამონარიდი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებიდან – მიმდინარე წლის კორექტირებული გაუნაწილებელი მოგება (ლარი)**

	2015წ.	2016წ.	2017წ.
	არაკორექტირებული		
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი	1,500,000	2,000,000	2,610,000
შეცდომების კორექტირება			(124,100)
წლის წმინდა მოგება	500,000	610,000	750,000
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	2,000,000	2,610,000	<b>3,235,900</b>

ორივე მეთოდით გაუნაწილებელი მოგების 2017 წლის საბოლოო ნაშთი ერთნაირია.



### თემა 3. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები (ბასს 10)

**ამოცანა 1. ავეჯის საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.**

საწარმოს სააღრიცხვო წელი სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს. ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცდა 2018 წლის 1 მაისს. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

1. 7 იანვარს სატრანსპორტო ორგანიზაციამ საწარმოს წარუდგინა ინვოისი 450 ლარის ოდენობით წინა წლის 30 დეკემბერს გაწეულ სატრანსპორტო მომსახურებაზე (საქონლის გადაზიდვა);
2. 3 თებერვალს გაიყიდა ერთ-ერთი ქვედანაყოფი 5 მილიონ ლარად;
3. 5 თებერვალს მარკეტოლოგებმა დაადასტურეს 31 დეკემბრისათვის არსებული რამდენიმე დასახელების საქონლის გაუფასურება საერთო თანხით 17,900 ლარი;
4. 5 მარტისათვის საგრძნობლად გაიზარდა დოლარის კურსი, რამაც გამოიწვია ამ თარიღისათვის 50 ათასი ლარის საკურსო ზარალი;
5. 25 აპრილს სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, შედეგად საწარმოს დაეკისრა თანამშრომლებისათვის კომპენსაციის გაცემა 100,000 ლარის ოდენობით. წინა წელს საწარმოდან დათხოვნილი ადმინისტრაციის პერსონალის სარჩელთან დაკავშირებით ჰქონდა აღიარებული პირობითი ვალდებულება 80,000 ლარის ოდენობით;
6. 15 მაისს დადასტურდა თაღლითობის ფაქტი, რომლის შედეგად მარაგის ხარჯი იყო გაზრდილი 25,600 ლარით;
7. 30 მაისს გაკოტრებულად გამოცხადდა ერთ-ერთი დებიტორი, რომელსაც მართებს 57,300 ლარი.

**დავალება: მოგეთხოვებათ ფინანსური ანგარიშგების კორექტირება მაკორექტირებელი მოვლენებით.**

**პასუხი:**

კორექტირებები აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ოპერაციის შინაარსი და ანგარიშის დასახელება	დებიტი	კრედიტი	ლარი
1	მიწოდების სხვა ხარჯები	7390		450
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	450
	სატრანსპორტო ხარჯების აღიარება			
3	არასაოპერაციო ზარალი	8220		17,900
	საქონელი		1610	17,900
	საქონლის გაუფასურების ზარალის აღიარება			
5	ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები	7480		20,000
	სხვა ანარიცხები		4390	20,000
	პირობითი ვალდებულების გაზრდა			

**მაგალითი 2. ღვინის საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

ღვინის საწარმოს სააღრიცხვო წელი სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს. ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცდა 2018 წლის 1 მაისს. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

1. 30 იანვარს საწარმომ მყიდველს გაუგზავნა კორექტირების ანგარიშ-ფაქტურა წინა წლის 29 დეკემბერს მიწოდებული პროდუქციის უკან დაბრუნებაზე 2,500 ლარის ოდენობით, რომლის თვითღირებულებაა 1,700 ლარი;
2. 22 თებერვალს ხანძარმა სრულად გაანადგურა ნაფარეულში მდებარე ღვინის ჩამოსასხმელი საამქროს მოწყობილობები, რომლის საბალანსო ღირებულება იყო 850 ათასი ლარი;
3. 7 მარტს ერთ-ერთმა მომწოდებელმა 50%-ით გაზარდა საქონლის შეძენის ფასი;
4. 13 მარტს აღმოჩენილია წინა წლის ოფისის იჯარის ხარჯების აღიარებაში დაშვებული შეცდომა – გადაჭარბება 4,200 ლარით;
5. 20 მარტს საწარმომ ფინანსური გარანტიები გასცა შვილობილი საწარმოს სესხზე;
6. 2 აპრილს საწარმომ სარჩელი შეიტანა სასამართლოში კონკურენტის საწარმოს წინააღმდეგ საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო.
7. 5 აპრილს დადგინდა და გამოცხადდა დისტრიბუციის სამსახურის თანამშრომლებისათვის პრემიების გაცემის ოდენობა – 30,000 ლარი. პრემია

გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულებით და მისი სიდიდე დამოკიდებულია წლიურ ფინანსურ შედეგებზე.

8. 10 აპრილს საწარმოს ერთ-ერთმა მყიდველმა საწარმოს წაუყენა პრეტენზია და მოითხოვა 14,000 ლარის კომპენსაცია წინა წლის 30 ნოემბერს შეძენილი დაზიანებული ტარა-მასალების გამო. მასალების წუნი გამოვლინდა მყიდველის მიერ მათი გამოყენების დროს. მასალების წუნი დასტურდება შესაბამისი საექსპერტო დასკვნით.

**დავალება: მოგეთხოვებათ ფინანსური ანგარიშგების კორექტირება მაკორექტირებელი მოვლენებით.**

**პასუხი:**

კორექტირებები აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ოპერაციის შინაარსი და ანგარიშის დასახელება	დებიტი	კრედიტი	ლარი
1	საქონლის უკან დაბრუნება	6120		2,500
	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		1410	2,500
	და			
	შემოსავალი რეალიზაციიდან	6110		2,500
	საქონლის უკან დაბრუნება		6120	2,500
	შემოსავლების კორექტირება			
	მზა პროდუქცია	1640		1,700
	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		7210	1,700
	მზა პროდუქციის აღება შემოსავალში			
4	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		4,200
	იჯარის ხარჯები		7420	4,200
	შეცდომის გასწორება			
7	შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამჯელო	7320		30,000
	გადასახდელი ხელფასი		3130	30,000
	გასაცემი პრემიით ვალდებულების აღიარება			
8	არასაოპერაციო ზარალი	8220		14,000
	სხვა ვალდებულებები		3190	14,000
	დაზიანებული მარაგის კომპენსაციასთან დაკავშირებული ზარალის და ვალდებულების აღიარება			



## თემა 4. იჯარა (ბასს 17)

ამოცანა 1. მთლიანი (ბრუტო) და წმინდა (ნეტო) საიჯარო ინვესტიცია.

6 წლიანი იჯარით გაცემულია აქტივი, რომლის რეალური ღირებულებაა 75,000 ლარი. მეიჯარე ითხოვს შემოსავალს 7%-იანი ოდენობით. აქტივის ნარჩენი ღირებულება შეფასდა 15,000 ლარად.

დავალება: განსაზღვრეთ აქტივის მთლიანი და წმინდა საიჯარო ინვესტიცია.

პასუხი:

1. იჯარისათვის გადასახდელი თანხა (საინვესტიციო ღირებულება)	
აქტივის რეალური ღირებულება	75,000
დისკონტირებული ნარჩენი ღირებულება $PV(7\%,6) 15.000 * 0.6663$	(9,994)
იჯარისათვის გადასახდელი თანხა	65,006
მინიმალური საიჯარო გადასახდელები $PVA (7\%,6) 65.006 / 4.76654$ (4.76654 არის 7%-ისა და 6 წლის შესაბამისი დისკონტირების კოეფიციენტი)	13,638

იჯარისათვის გადასახდელი თანხა არის მოიჯარის მიერ აქტივის რეალური ღირებულებიდან მოხმარებული ნაწილი, ანუ აქტივის სარგებლობისათვის გადასახდელი თანხა. 75,000 ლარის რეალური ღირებულების აქტივის გამოყენებით მოიჯარე მოიხმარს 65,006 ლარის ტოლ სარგებელს. ამ სარგებლისათვის მეიჯარეს ეკუთვნის თავად აქტივის მოხმარებული ღირებულება (65,006 ლარი) და პროცენტი ამ თანხიდან. ამას, მეიჯარის მიერ მოთხოვნილი 7%-იანი განაკვეთის პირობებში, უზრუნველყოფს ყოველწლიურად 13,638 ლარის ტოლი გადასახდელები.

2. მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიციის თანხა (ლარი)	
მინიმალური საიჯარო გადასახდელების ჯამი $(13,638 * 6$ წელზე)	81,828

ნარჩენი ღირებულება	<u>15,000</u>
მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიციის თანხა	96,828

ამ გარიგების შედეგად მეიჯარე 6 წლის განმავლობაში მინიმალური საიჯარო გადასახდელებით მიიღებს 81,828 ლარს და უკან დაიბრუნებს აქტივს, რომლის ღირებულება იჯარის ვადის დასაწყისისათვის შეფასდა 15,000 ლარად.

<b>3. წმინდა საიჯარო ინვესტიციის თანხა (მთლიანი საიჯარო ინვესტიციის დისკონტირებული ღირებულება)</b>	
მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება $PVA(7\%,6) 13,638 \times 4.76654$	65,006
დისკონტირებული ნარჩენი ღირებულება $PV(7\%,6) 15.000 \times 0,6663$	<u>9,994</u>
წმინდა საიჯარო ინვესტიციის თანხა $(65,006 + 9,994)$	75,000

წმინდა საინვესტიციო (ანუ მთლიანი საინვესტიციო თანხის დისკონტირებული ღირებულება) არის მინიმალური საიჯარო გადასახდელებისა და ნარჩენი ღირებულების დისკონტირებულ ღირებულებათა ჯამი. პრაქტიკულად წმინდა საიჯარო ინვესტიცია აქტივის რეალური ღირებულების ტოლია. მაგალითში წმინდა საიჯარო ინვესტიცია, ანუ მეიჯარის მიერ განხორციელებული ინვესტიცია, უდრის 75.000 ლარს.

<b>4. გამოუმუშავებული შემოსავალი</b>	
მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია	96,828
წმინდა საიჯარო ინვესტიცია	<u>(75,000)</u>
გამოუმუშავებული შემოსავალი	ფინანსური 21,828

75,000 ლარის ინვესტიცია მეიჯარეს მოუტანს 21,828 ლარის საფინანსო (საპრცენტო) შემოსავალს.

მეიჯარის მიერ, იჯარის დაწყების დროისათვის გაკეთებული შეფასებით, განხორციელდა ინვესტიცია 75,000 ლარის ოდენობით, რომელიც 6 წლის განმავლობაში მოუტანს მას შემოსავალს 21,828 ლარის ოდენობით.

**ამოცანა 2. საწყობის შენობის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება.**

საწყობის შენობა, რომლის რეალური ღირებულება 120,000 ლარია გაცემულია 6 წლიანი იჯარით. ნარჩენი ღირებულება შეფასდა 35,400 ლარად. ყოველი წლის ბოლოს გადასახდელია 20,000 ლარი.

**დავალება: დაადგინეთ ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი პროცენტი და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება.**

**პასუხი:**

<b>ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი პროცენტი და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება</b>	
აქტივის რეალური ღირებულება	120,000
ნარჩენი ღირებულება	<u>(35,400)</u>
იჯარისათვის გადასახდელი თანხა	84,600
დისკონტირების კოეფიციენტი 84,600/20,000	4.23054
საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შეესაბამება 4.23 დისკონტირების კოეფიციენტს	11%
საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება 20,000*4.23054	84,611

იჯარისათვის გადასახდელი თანხის შეფარდებით მინიმალურ საიჯარო გადასახდელებთან ვადგენთ დისკონტირების კოეფიციენტს, მიღებულ კოეფიციენტს მოვძებნით ანუიტეტის მიმდინარე ღირებულების ცხრილში (PVA) 6 წლიან პერიოდის სტრიქონზე, რითაც ვადგენთ ხელშეკრულებაში ნაგულისხმევ საპროცენტო განაკვეთს. დისკონტირების კოეფიციენტი 4.23054 (6 წლიან პერიოდში) შეესაბამება 11%-ს.

როდესაც უცნობია ნარჩენი ღირებულება, შეუძლებელია ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის დადგენა. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მოიჯარის **ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი**, რომელიც ბასს-ის თანახმად არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მოიჯარეს მოუწევდა ანალოგიური იჯარისათვის ან, თუ ამის დადგენა შეუძლებელია, საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც იჯარის დასაწყისში მოიჯარე გადაიხდიდა ამ აქტივის შესაძენად საჭირო ოდენობის სესხისათვის, იმავე პერიოდში, ასეთივე უზრუნველყოფით.

**ამოცანა 3. საოფისე შენობის მინიმალური საიჯარო გადასახდელები.**

იჯარით გაიცა საოფისე შენობა, რომლის რეალური ღირებულება 135,000 ლარია, იჯარის ვადა 10 წელი, ყოველი წლის ბოლოს გადასახდელია 17,000 ლარი. ნარჩენი ღირებულება უცნობია. დავუშვათ, რომ მეიჯარემ უკუგების განაკვეთად გამოიყენა ანალოგიურ იჯარაზე მოქმედი ზღვრული საპროცენტო განაკვეთი – 10%

**დავალება: განსაზღვრეთ მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება.**

**პასუხი:**

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება	
აქტივის რეალური ღირებულება	135,000
საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება PVA(10%,10) 17,000 *6.1446	104,458

ამდენად, მთლიანი ინვესტიცია 170,000 ლარია (17,000\*10 წელზე), წმინდა ინვესტიცია – 104,458 ლარი, ხოლო ფინანსური შემოსავალი 65,542 ლარი (170,000 - 104,458).

**ამოცანა 4. ფინანსური იჯარა გარანტირებული და არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულებით.**

ავტომანქანა ოფისის საჭიროებისათვის, რომლის რეალური ღირებულება 75,000 ლარია, 6 წლით გაიცა იჯარით. აქტივი, საიჯარო ვადის ამოწურვის შემდეგ, უბრუნდება მეიჯარეს. ნარჩენი ღირებულება შეფასდა 15,000 ლარად. ყოველი წლის ბოლოს გადასახდელია 13,638 ლარი. დავუშვათ, რომ ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი განაკვეთი 7%-ია.

გამარტივების მიზნით გავაკეთოთ დაშვება, რომ იჯარის დაწყების ვადა 1 იანვარია, ხოლო საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადა – 31 დეკემბერი.

საიჯარო ვალდებულების დამთავრებისათვის აქტივის რეალური ღირებულება იყო 14,000 ლარი. აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრა 6 წლით.

**დავალება:** დაადგინეთ მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება და ასახეთ ანგარიშებზე იჯარის ოპერაციები, როდესაც:

- ა) ნარჩენი ღირებულება არ არის გარანტირებული;
- ბ) ნარჩენი ღირებულება არის გარანტირებული.

**პასუხი:**

**❖ ფინანსური იჯარის ასახვა მოიჯარესთან**

მოიჯარემ აქტივის ბალანსში ასახვისათვის უნდა განსაზღვროს მინიმალური გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება, რათა დაადგინოს უმცირესი ამ ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის.

**ა) არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულების ვარიანტი (ლარი)**

აქტივის რეალური ღირებულება	75,000
დისკონტირებული ნარჩენი ღირებულება $15,000 * 0.6663$	<u>(9,994)</u>
იჯარისათვის გადასახდელი თანხა	65,006
მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება $PVA(7\%,6) 13,638 * 4.76654$	65,006

ვინაიდან მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება ნაკლებია რეალურ ღირებულებაზე, აქტივი აისახება 65,006 ლარად. გავანაწილოთ საფინანსო (საპროცენტო) ხარჯი მთლიან საიჯარო ვადაზე (იხ. ცხრილი 1).

საპროცენტო ხარჯის განაწილება მთლიან საიჯარო ვადაზე ცხრილი 1

წელი	ყოველწლიურად გადასახდელი თანხა			დარჩენილი საიჯარო ვალდებულების ნაშთი
	საიჯარო გადასახდელები (სულ)	მათ შორის		
		საპროცენტო ხარჯი (7%)	გადახდილი საიჯარო ვალდებულება (სვ.2 - სვ.3)	
1	2	3	4	5
				65,006
1	13,638	4,550	9,088	55,918
2	13,638	3,914	9,724	46,194
3	13,638	3,234	10,404	35,790
4	13,638	2,505	11,133	24,657
5	13,638	1,726	11,912	12,745
6	<u>13,638</u>	<u>893</u>	<u>12,745</u>	0
	81,828	16,822	65,006	–

საიჯარო ვადის განმავლობაში საპროცენტო ხარჯი შეადგენს 16,822 ლარს, აქტივის ცვეთა დაერიცხება 65,006 ლარის ოდენობით, ნარჩენი ღირებულება იქნება ნული.

ფინანსური იჯარით მიღებული მოწყობილობა პირველ წელს აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	სატრანსპორტო საშუალებები	2180		65,006
	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე		4130	65,006
	აქტივისა და ფინანსურ იჯარაზე ვალდებულებების აღიარება			
2	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	4130		9,088
	ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი		3240	9,088
	გრძელვადიანი ვალდებულებებიდან მიმდინარე ნაწილის გამოყოფა			

3	საპროცენტო ხარჯები	8210		4,550
	გადასახდელი პროცენტები		3410	4,550
	საპროცენტო ხარჯის აღიარება			
4	ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	3240		9,088
	გადასახდელი პროცენტები	3410		4,550
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	13,638
	საიჯარო თანხის გადახდა			
5	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7455		10,834
	მანქანა-დანადგარების ცვეთა		2280	10,834
	იჯარით აღებულ ავტომანქანაზე ცვეთის დარიცხვა (65,006/6წ.)			
აქტივის უკან დაბრუნება– იჯარის დამთავრებისათვის 4130 "ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე" და 2180 "სატრანსპორტო საშუალებები"-ს ანგარიშების ნაშთები იქნება განულებული.				

**ბ) გარანტირებული ნარჩენი ღირებულების ვარიანტი**

მოიჯარემ აიღო იმის რისკი (გარანტია), რომ საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ შეიჯარეს დაუბრუნებს აქტივს, რომლის რეალური ღირებულება კომპენსაციით დაყვანილი იქნება 15,000 ლარამდე.

წინა მაგალითის მიხედვით გავანაწილოთ საფინანსო ხარჯი მთლიან საიჯარო ვალდებულებაზე აქტივის ნარჩენი ღირებულების გარანტიის შემთხვევაში (იხ. ცხრილი 2)

საპროცენტო ხარჯის განაწილება მთლიან საიჯარო ვადაზე ცხრილი 2

წელი	ყოველწლიურად გადასახდელი თანხა			დარჩენილი საიჯარო ვალდებულების ნაშთი
	საიჯარო გადასახდელები (სულ)	მათ შორის		
		საპროცენტო ხარჯი (7%)	გადახდილი საიჯარო ვალდებულება (სვ.2 - სვ.3)	
1	2	3	4	5
				75,000
1	13,638	5,250	8,388	66,612

2	13,638	4,663	8,975	57,637
3	13,638	4,035	9,603	48,034
4	13,638	3,362	10,276	37,758
5	13,638	2,643	10,995	26,763
6	<u>13,638</u>	<u>1,875</u>	<u>11,763</u>	<u>15,000</u>
	81,828	21,828	60,000	15,000

საიჯარო ვადის განმავლობაში საპროცენტო ხარჯი შეადგენს 21,828 ლარს. ამავე პერიოდში გადაიხდება საიჯარო ვალდებულება 60,000 ლარის ოდენობით, ხოლო ნარჩენი ვალდებულება იქნება 15,000 ლარი, რომელიც უნდა დაიფაროს დაბრუნებული აქტივის რეალური ღირებულებით. მაგრამ ვინაიდან დაბრუნების მომენტში აქტივის რეალური ღირებულება ნაკლები აღმოჩნდა საიჯარო ვალდებულების ნაშთზე, მაშინ მოიჯარემ უნდა შეავსოს სხვაობის თანხა. საიჯარო აქტივის რეალური ღირებულება დაბრუნების მომენტში აღმოჩნდება 14,000 ლარი, მოიჯარემ უნდა გადაიხადოს 1,000 ლარი. ამდენად, საიჯარო ხელშეკრულების ბოლოს მოიჯარეს დარჩა ვალდებულება უკან დასაბრუნებელი აქტივის გარანტირებულ ღირებულებაზე (15,000 ლარი).

ფინანსური იჯარით მიღებული მოწყობილობა **პირველ წელს** აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	სატრანსპორტო საშუალებები	2180		75,000
	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე		4130	75,000
	აქტივისა და ფინანსურ იჯარაზე ვალდებულებების აღიარება			
2	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	4130		8,388
	ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი		3240	8,388
	გრძელვადიანი ვალდებულებიდან მიმდინარე ნაწილის გამოყოფა			
3	საპროცენტო ხარჯები	8210		5,250
	გადასახდელი პროცენტები		3410	5,250
	საპროცენტო ხარჯის აღიარება			
4	ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	3240		8,388
	გადასახდელი პროცენტები	3410		5,250

	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	13,638
	საიჯარო თანხის გადახდა			
5	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7455		12,500
	მანქანა-დანადგარების ცვეთა		2280	12,500
	იჯარით აღებულ ავტომანქანაზე ცვეთის დარიცხვა (75,000/6წ.)			
აქტივის უკან დაბრუნება– აქტივის ნარჩენი ღირებულება არის გარანტირებული				
	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	4130		15,000
	არასაოპერაციო ზარალი	8220		1,000
	სატრანსპორტო საშუალებები		2180	15,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	1,000

**❖ ფინანსური იჯარის აღრიცხვა მეიჯარესთან**

მოიჯარეზე აქტივის გადაცემა მეიჯარის ბალანსში აისახება მოთხოვნის ზრდით და აქტივის შემცირებით წმინდა საიჯარო ინვესტიციების ტოლფასი თანხით. ამის გარდა მეიჯარე წარმოქმნის მოთხოვნას მისაღებ პროცენტებზე, რაც მისთვის არის შემოსავალი.

გარანტირებული იქნება თუ არა ნარჩენი ღირებულება, მოთხოვნა და აქტივი ყოველთვის აისახება წმინდა ინვესტიციის თანხით, ანუ რეალური ღირებულებით - 75,000 ლარად. საიჯარო მოთხოვნა და საპროცენტო შემოსავალი წარმოდგენილია ცხრილში (იხ.ცხრილი 4).

ცხრილი 4

საფინანსო შემოსავლების განაწილება მთლიან საიჯარო ვადაზე

წელი	ყოველწლიურად გადასახდელი თანხა			დარჩენილი საიჯარო მოთხოვნის ნაშთი
	მისაღები საიჯარო ქირა (სულ)	მათ შორის		
		საპროცენტო შემოსავალი	საიჯარო მოთხოვნა (სვ.2 - სვ.3)	
1	2	3	4	5
				75,000
1	13,638	5,250	8,388	66,612
2	13,638	4,663	8,975	57,637

3	13,638	4,035	9,603	48,034
4	13,638	3,362	10,276	37,758
5	13,638	2,643	10,995	26,763
6	<u>13,638</u>	<u>1,875</u>	<u>11,763</u>	<u>15,000</u>
	81,828	21,828	60,000	15,000

მეიჯარესთან პირველი წლის ოპერაციები და იჯარის ვადის ბოლოს საიჯარო აქტივის დაბრუნება აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
1	მოთხოვნები ფინანსურ იჯარაზე	2320		75,000
	სატრანსპორტო საშუალებები		2180	75,000
	მოწყობილობის გადაცემა და მოთხოვნის წარმოქმნა			
2	გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი	1470		8,388
	მოთხოვნები ფინანსურ იჯარაზე		2320	8,388
	გრძელვადიანი მოთხოვნებიდან მიმდინარე ნაწილის გამოყოფა			
3	მისაღები პროცენტები	1820		5,250
	საპროცენტო შემოსავლები		8110	5,250
	მისაღები პროცენტის დარიცხვა			
4	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		13,638
	გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი		1470	8,388
	მისაღები პროცენტები		1820	5,250
	საიჯარო გადასახდელის მიღება			
საიჯარო ვადის ბოლოს				
	სატრანსპორტო საშუალებები	2180		15,000
	გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი		1470	15,000
აქტივის დაბრუნება არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულების შემთხვევაში				
	სატრანსპორტო საშუალებები	2180		15,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		1,000
	გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი		1470	15,000
	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		8190	1,000
აქტივის დაბრუნება და ნარჩენი ღირებულების კომპენსაცია				

## ამოცანა 5. ფინანსური იჯარით მიღებული სტამბის საბეჭდი მოწყობილობა

სტამბამ ფინანსური იჯარით აიღო საბეჭდი მოწყობილობა. იჯარის პირობებია: ვადა 4 წელი, ყოველწლიური საიჯარო გადასახდელები 43,000 ლარი. ანალოგიური მოწყობილობის რეალური ღირებულება 140,000 ლარია, ხოლო ბაზარზე ანალოგიურ უზრუნველყოფილ სესხზე განაკვეთი 18%-ია.

**დავალება:** განსაზღვრეთ მოწყობილობის საბალანსო ღირებულება პირველი წლის ბოლოსათვის.

### პასუხი:

ბასს 17-ის თანახმად, მოწყობილობა მიღების დროს ფასდება უმცირესი თანხით რეალურ ღირებულებასა და მიმდინარე საიჯარო გადასახდელების დისკონტირებულ ღირებულებას შორის. მიმდინარე საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება ნაკლებია მოწყობილობის რეალურ ღირებულებაზე და ამიტომ შეფასდა დისკონტირებული ღირებულებით – 115,673 ლარად. მოწყობილობას ცვეთა ერიცხება საიჯარო ვადის პერიოდში, ერთი წლის ცვეთა შეადგენს 28,918 ლარს, ხოლო პირველი წლის ბალანსში მოწყობილობა შეფასებული იქნება 86,755 ლარად (იხ.ცხრილი 1).

ცხრილი 1

მაჩვენებლები	ლარი
მოწყობილობის დისკონტირებული ღირებულება: $PVA(4,18\%) = 43,000 * 2.69006$	115,673
მოწყობილობის რეალური ღირებულება	140,000
მოწყობილობა მიღების დროს ფასდება უმცირესი თანხით	115,673
ერთი წლის ცვეთა (115,673/4წ)	28,918
ფინანსური იჯარით მიღებული მოწყობილობის საბალანსო ღირებულება პირველი წლის ბოლოს (115,673 - 28,918)	86,755

მოიჯარეს მიერ გადასახდელი საიჯარო გადასახდელები შედგება ორი ნაწილისაგან: საიჯარო ვალდებულებისა და ფინანსური ხარჯისაგან. ფინანსური ხარჯი იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში ვალდებულებების ნაშთის მიმართ გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი მუდმივი იყოს. ფინანსური იჯარით მიღებულ აქტივებზე ცვეთა დაირიცხება იჯარის ვადასა და მისი სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. მოიჯარის მიერ ცვეთის დარიცხვის პოლიტიკა უნდა იყოს საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკის ანალოგიური.

ქვემოთ მოტანილი ცხრილის საშუალებით დავადგინოთ ყოველწლიური საიჯარო გადასახდელების შემადგენლობაში ძირითადი და საპროცენტო თანხების ცვლილება საიჯარო ვადის განმავლობაში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

წლები	ყოველწლიურად გადასახდელი თანხა			დარჩენილი (მომავალი საანგარიშგებო პერიოდებისათვის) საიჯარო ვალდებულების ნაშთი
	საიჯარო გადასახდე- ლები  (სულ)	მათ შორის		
		საპროცენტო ხარჯი (18%)	საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი საიჯარო ვალდებულება (სვ.2 - სვ.3)	
1	2	3	4	5
				115,673
1	43,000	20,821	22,179	93,494
2	43,000	16,829	26,171	67,323
3	43,000	12,118	30,882	36,441
4	<u>43,000</u>	<u>6,559</u>	<u>36,441</u>	0
	172,000	56,327	X	X

ცხრილიდან ირკვევა, რომ მოწყობილობაში საწარმო იხდის 17,000 ლარს, საიდანაც 56,327 ლარი საპროცენტო ხარჯია.

ფინანსური იჯარით მიღებული მოწყობილობა პირველ წელს აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	მანქანა-დანადგარები	2150		115,673
	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე		4130	115,673
	აქტივისა და ფინანსურ იჯარაზე ვალდებულებების აღიარება			
2	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	4130		22,179
	ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი		3240	22,179
	გრძელვადიანი ვალდებულებიდან მიმდინარე ნაწილის გამოყოფა			
3	საპროცენტო ხარჯები	8210		20,821
	გადასახდელი პროცენტები		3410	20,821
	საპროცენტო ხარჯის აღიარება			
4	ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	3240		22,179
	გადასახდელი პროცენტები	3410		20,821
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	43,000
	საიჯარო თანხის გადახდა			
5	ცვეთის ხარჯი	7170		28,918
	მანქანა-დანადგარების ცვეთა		2250	28,918
	იჯარით აღებულ მოწყობილობაზე ცვეთის დარიცხვა			



**თემა 5. სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა  
(ბასს 20)**

**ამოცანა 1. აქტივებთან დაკავშირებული გრანტის აღიარება შემოსავალ-მეთოდით.**

საწარმომ კომპიუტერების შესაძენად მიიღო გრანტი ფულადი სახით 25,000 ლარი. საწარმო კომპიუტერულ ტექნიკას ცვეთას აღრიცხავს წრფივი მეთოდით 5 წლის განმავლობაში.

**დავალება: ასახეთ გრანტი შემოსავალ-მეთოდით.**

**პასუხი:**

აღნიშნული ოპერაციები ასეთი ჩანაწერებით ასახება:

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		25,000
	გადავადებული შემოსავლები (გრანტი)		4410	25,000
	გრანტით მიღებული თანხა აღიარდა გადავადებულ შემოსავლად			
2	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	2160		25,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	25,000
	კომპიუტერების შეძენა			
3	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7455		5,000
	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა		2260	5,000
	გამოყენების პირველ წელს ცვეთის დარიცხვა			
4	გადავადებული შემოსავლები (გრანტი)	4410		5,000
	სხვა საოპერაციო შემოსავლები		8190	5,000
	გრანტის ამორტიზება – დარიცხული ამორტიზაციის პროპორციულად გადავადებული შემოსავლების (გრანტის) ნაწილის პერიოდის შემოსავლად აღიარება			

**მაგალითი 2. აქტივებთან დაკავშირებული გრანტის აღიარება კაპიტალ-მეთოდით.**

საწარმომ კომპიუტერების შესაძენად მიიღო გრანტი ფულადი სახით 25,000 ლარი. საწარმომ შეიძინა 30,000 ლარად შეფასებული კომპიუტერული ტექნიკა, რომელსაც ცვეთას აღრიცხავს წრფივი მეთოდით 5 წლის განმავლობაში.

**დავალება: ასახეთ გრანტი კაპიტალ-მეთოდით.**

**პასუხი:**

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		25,000
	გადავადებული შემოსავალები (გრანტი)		4410	25,000
	გრანტის აღიარება			
2	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	2160		30,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	30,000
	გრანტით კომპიუტერების შეძენა			
3	გადავადებული შემოსავალები (გრანტი)	4410		25,000
	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა		2160	25,000
	გრანტის თანხის გამოიქვითება აქტივის საბალანსო ღირებულებიდან.			

**მაგალითი 3. არამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტის აღრიცხვა.**

სოფლის მეურნეობის საწარმომ მიიღო სახელმწიფო გრანტი მიწის ნაკვეთის სახით. მისი რეალური ღირებულებაა 52,000 ლარი. ამ ნაკვეთზე საწარმომ საკუთარი სახსრებით ააშენა შენობა, რომელიც შეფასდა 250,000 ლარად. შენობის გამოყენების ვადა განისაზღვრა 25 წლით. შენობის გამოყენების პერიოდში ამორტიზირდება გრანტი და აღიარდება სხვა საოპერაციო შემოსავლების სახით.

**დავალება: ასახეთ გრანტის მიღება და პირველ წელს მისი გამოყენება.**

**პასუხი:**

ოპერაციები შემდეგი სახით აისახება:

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	მიწის ნაკვეთები	2110		52,000
	გადავადებული შემოსავლები (გრანტი)		4410	52,000
	გრანტის მიღება მიწის ნაკვეთის სახით			
2	შენობები	2130		250,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	250,000
	შენობის აშენების ხარჯების ანაზღაურება			
3	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7455		10,000
	შენობების ცვეთა		2230	10,000
	შენობის ერთი წლის ცვეთის დარიცხვა (250,000/25წ.)			
4	გადავადებული შემოსავლები (გრანტი)	4410		2,080
	სხვა საოპერაციო შემოსავლები (52,000/25წ.)		8190	2,080
	გრანტის აღიარება შემოსავლად დარიცხული ცვეთის პროპორციულად			

#### მაგალითი 4. გრანტების განაწილება - კომპონენტებად დაყოფა.

ეკონომიკურად არამომგებიანი მთიანი რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოს გამოეყო გრანტები მშენებლობაზე, კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე, კადრების მოძიებასა და მომზადებაზე 500,000 ლარის ოდენობით.

**დავალება: იმსჯელეთ გრანტის კომპონენტებზე.**

#### პასუხი:

იმ შემთხვევაში, როდესაც გრანტი წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების პაკეტის ნაწილს, შეიძლება წარმოიქმნას გრანტების დაყოფის აუცილებლობა. გრანტის თითოეული კომპონენტი აღირიცხება განცალკევებულად, მაშინაც როცა ფული ერთდროულად არის მიღებული. შესაბამისად, საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ გრანტი შემდეგნაირად განაწილდა: მშენებლობაზე – 350,000 ლარი; კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე – 50,000 ლარი; კადრების მოძიებასა და მომზადებაზე – 100,000 ლარი.

**მაგალითი 5. გრანტი გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით (კაპიტალ-მეთოდი)**

საწარმო სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდის. მან სახელმწიფოსგან მიიღო გრანტი ფულის სახით 80,000 ლარის ოდენობით, ბიზნესის მხარდასაჭერად – წინა პერიოდის ზარალის ასანაზრაურებლად.

**დავალება: ასახეთ გრანტის მიღება.**

**პასუხი:**

საწარმომ მთლიანად უნდა აღიაროს გრანტი და შესაბამისი ინფორმაცია ასახოს განმარტებებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაკეთდება ასეთი ჩანაწერი:

ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		80,000
გადავადებული შემოსავლები (გრანტი)		4410	80,00
გრანტის მიღება			
და			
გადავადებული შემოსავლები (გრანტი)	4410		
ხარჯები		7XXX	80,000
გრანტით გაწეული ხარჯების შემცირება			

**მაგალითი 6. გრანტის დაბრუნება ფულის სახით.**

საწარმოს კადრების გადამზადებისათვის მიღებული აქვს გრანტი 20,000 ლარის ოდენობით. გრანტის მიღებიდან მოკლე პერიოდში გრანტის გამცემი ორგანიზაციის აუდიტორებმა დაადგინეს, რომ გრანტის ზოგიერთი პირობა არ იყო დაცული და მოითხოვეს თანხის დაბრუნება. გადავადებული შემოსავლის სახით ამ დროისათვის ირიცხებოდა 15,000 ლარი.

**დავალება: ასახეთ გრანტის დაბრუნება.**

**პასუხი:**

დასაბრუნებელი გრანტის თანხის გადავადებულ შემოსავლებზე ნამეტი დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად. ბუღალტრული გატარებებით ეს ოპერაცია ასე აისახება:

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		20,000
	გადავადებული შემოსავლები (გრანტი)		4410	20,000
	საგრანტო თანხის მიღება			
2	სხვა ადმინისტრაციული ხარჯები (კადრების)	7490		5,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	5,000
	გრანტის გამოყენება			
3	გადავადებული შემოსავლები (გრანტი)	4410		5,000
	სხვა საოპერაციო შემოსავლები		8190	5,000
	გრანტის აღიარება შემოსავლად გაწეული ხარჯების პროპორციულად (გრანტის გამოყენება)			
4	გადავადებული შემოსავლები (გრანტი)	4410		15,000
	სხვა ადმინისტრაციული ხარჯები (კადრების)	7490		5,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	20,000
	გრანტის დაბრუნებაზე ვალდებულების აღიარება			
5	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		20,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	20,000
	გრანტის დაბრუნება – ფულის გადახდა			

ამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტის დასაბრუნებელი თანხით გაიზრდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ან შემცირდება გადავადებული შემოსავლის ნაშთი დასაბრუნებელი თანხის ოდენობით. დაგროვილი ცვეთის თანხა, რომელიც დაბრუნებამდე იყო აღიარებული, გრანტის არარსებობის პირობებში დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად.

#### მაგალითი 7. გრანტის დაბრუნება ფულის და აქტივის სახით.

საწარმომ 2014 წლის 1 იანვარს სახელმწიფო გრანტით მიიღო 120,000 ლარი, რომლითაც შეიძინა მოწყობილობები 5 წლის საექსპლუატაციო ვადით. 2016 წლის

დასაწყისისათვის დაგროვილი ცვეთა 96,000 ლარია, გადავადებული შემოსავლის ანგარიშზე ირიცხება 24,000 ლარი. მოწყობილობების არამიზნობრივი გამოყენების გამო 2018 წლის დასაწყისში გრანტის გამცემის მიერ დასაბუთებული იქნა გრანტის დაბრუნების მოთხოვნა:

**დავალება: ასახეთ გრანტის დაბრუნება:**

ა) ფულის სახით;

ბ) მოწყობილობების სახით.

**პასუხი:**

ა) გრანტის დაბრუნების ოპერაციები ფულის სახით აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
1	გადავადებული შემოსავლები	4410		24,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	24,000
	გადავადებული შემოსავლების ანგარიშის ნაშთის ტოლი თანხით გრანტის დაბრუნების ვალდებულების აღიარება			
2	არასაოპერაციო ხარჯები	8220		96,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	96,000
	გრანტის დაბრუნების ხარჯების აღიარება (ადრე ცვეთად და შემოსავლად აღიარებული ტოლი თანხით), უდევად გრანტის დაბრუნების ვალდებულება გაუტოლდა 120,000 ლარს.			
2	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	120,000
	გრანტის დაბრუნება ვალდებულების დაფარვა ფულის სახით			

აქტივი რჩება საწარმოს საკუთრებაში, ამიტომ ანგარიში 2150 და 2250 არ იხურება.

ბ) გრანტის დაბრუნება მოწყობილობების სახით აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
1	გადავადებული შემოსავლები	4410		24,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	24,000
	გადავადებული შემოსავლების ანგარიშის ნაშთის ტოლი თანხით გრანტის დაბრუნების ვალდებულების აღიარება			

2	მანქანა-დანადგარების ცვეთა	2250		96,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	96,000
	დაგროვილი ცვეთის ტოლი თანხით გრანტის დაბრუნების ვალდებულების აღიარება			
3	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		120,000
	მანქანა-დანადგარების		2150	120.000
	გრანტის დაბრუნება – მოწყობილობების სახით			

აქტივი უბრუნდება გრანტის გამცემს, ანგარიში 2150 და 2250 დაიხურა.



## თემა 6. საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება (ზასს 26)

### ამოცანა 1. დადგენილშენატანიანი პროგრამა.

ფირმა იხდის საპენსიო ფონდში მომუშავეთა ხელფასის 10%, ხოლო მომუშავე იხდის – 5%. ეს თანხები გადაიხდება ფირმის მიერ მომუშავის სახელით და პენსიას აყალიბებს, რომელსაც მომუშავე მიიღებს შრომითი საქმიანობის დამთავრების შემდეგ.

**დავალება:** იმსჯელეთ როგორ უნდა აისახოს დადგენილშენატანიანი პროგრამის შენატანები.

#### პასუხი:

საწარმოსათვის დადგენილშენატანიანი პროგრამის შენატანები აღიარდება მიმდინარე პერიოდის საოპერაციო ხარჯად და ვალდებულებად, ხოლო განმარტებით შენიშვნებში აისახება: პროგრამის დახასიათება; მიმდინარე პერიოდის ხარჯი; ნებისმიერი წინასწარ გადახდები ან ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდისათვის. დამქირავებელი ვალდებულია გადარიცხოს აღნიშნული თანხები საპენსიო ფონდში.

დარიცხვის მეთოდით შენატანები აღიარდება საპენსიო ანარიცხების ხარჯად, რაც აისახება გატარებით:

დებეტი – საპენსიო ანარიცხების ხარჯი

კრედიტი – ვალდებულება საპენსიო ფონდის მიმართ

### მაგალითი 2. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა ვალდებულება.

საწარმოს საპენსიო პროგრამასთან დაკავშირებული მონაცემები (ფე):

მაჩვენებლები	2015წ.	2016წ.
საპენსიო პროგრამის აქტივების რეალური ღირებულება	600	550
საპენსიო პროგრამის ვალდებულების დისკონტირებული	660	600

ღირებულება		
------------	--	--

**დავალება: განსაზღვრეთ დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა ვალდებულება.**

**პასუხი:**

	მაჩვენებლები	2015წ.	2016წ.
1	საპენსიო პროგრამის აქტივების რეალური ღირებულება	600	550
2	საპენსიო პროგრამის ვალდებულებების დისკონტირებული ღირებულება	660	600
3	საპენსიო პროგრამის წმინდა ვალდებულება (სტრ.2-სტრ.1)	60	50

**ამოცანა 3. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის საპროცენტო ხარჯი.**

მომუშავე გადის პენსიაზე 20 წლის შემდეგ, რისთვისაც გათვლებით ყოველწლიურად უნდა იქნეს აღიარებული 12,000 ფე ვალდებულება. გაკეთდა დაშვება, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ სიცოცხლის ხანგრძლივობა იქნება 20 წელი. დისკონტირების განაკვეთი 12%. მეორე წლის ვალდებულების დისკონტირებული ღირებულება 25,000 ფე.

**დავალება: განსაზღვრეთ დადგენილგადასახდელიანი პროგრამის მეორე წლის საპროცენტო ხარჯი.**

**პასუხი:**


ვალდებულება შეადგენს:  $12,000 \text{ ფე} * 20\% = 240,000 \text{ ფე}$ .

1 წელს ვალდებულების დისკონტირებული ღირებულება იქნება:

$$240,000 * 0.1037 = 24,888 \text{ ფე.}$$

მე-2 წელს მომუშავემ შესრულებული პროფესიული საქმიანობით გასწია მომსახურება, ანუ მან გამოიმუშავა პენსია - მისი პენსიის გადახდის ვადა ერთი სააღრიცხვო პერიოდით მიუახლოვდა დაფარვის ვადას, ადგილი აქვს **საპროცენტო ხარჯს**. თუ მეორე წლის ვალდებულების დისკონტირებული ღირებულება 25,000 ფე, საპროცენტო ხარჯი იქნება (ფე):

$$25,000 - 24,888 = 112$$



ამოცანა 4. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის წმინდა პროცენტი (ხარჯი/შემოსავალი).  
საწარმოს მაჩვენებლები (ფე):

საპენსიო პროგრამის აქტივების რეალური ღირებულება (მოსალოდნელი შემოსავალი - 5%)	250
საპენსიო პროგრამის ვალდებულება (დისკონტირების განაკვეთი - 6%)	300

დავალება: განსაზღვრეთ საწარმოს წმინდა პროცენტის ხარჯი (ფე):

პასუხი:

წმინდა პროცენტის - ხარჯი	ფე
საპენსიო პროგრამის წმინდა ვალდებულება (300 - 250)	50
წმიდა პროცენტი - ხარჯი (50 * 6%)	3

ამოცანა 5. მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და საპროცენტო ხარჯი (ბასს 19, პ.68).

საწარმოს ერჯერადად გასაცემი აქვს შრომითი საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ შრომის ანაზღაურება (პენსია), რაც შეადგენს პენსიაზე გასვლის დროისათვის ხელფასის

1% ყოველი ნამუშევარი წლისათვის. პირველ წელს ხელფასმა შეადგინა 10,000 ფე, ვარაუდია რომ ის ყოველწლიურად გაიზრდება 7%-ით (რთული პროცენტი), დისკონტის განაკვეთი - 10%.

**დავალება:** განსაზღვრეთ წლების მიხედვით მიმდინარე მომსახურების ღირებულება და საპროცენტო ხარჯი.

**პასუხი:**

ერთჯერადად ასანაზღაურებელი ვალდებულების ფორმირება იმ თანამშრომლისათვის, რომლის საქმიანობის შეწყვეტა ნავარაუდევია მეხუთე წლის ბოლოსათვის, იმის დაშვებით, რომ აქტუარულ შეფასებებში არ არის ცვლილებები, ასახულია ცხრილში. გამარტივებისათვის ასევე იგნორირებულია დამატებითი კორექტირებები, რომელიც აუცილებელია მომუშავეს საწარმოდან დათქმულ ვადაზე ადრე ან გვიან წასვლის ალბათობის დაშვებასთან.

ანაზღაურებისა და საპენსიო თანხის გაანგარიშება

წელი	შრომის ანაზღაურება	ფე
1	$(10,000 * 1\%) =$	100
2	$(10,100 * 107\%) = 10,700;$ $10,700 * 1\% =$	107
3	$(10,700 * 107\%) = 11,449;$ $11,449 * 1\% =$	115
4	$(11,449 * 107\%) = 12,250;$ $12,250 * 1\% =$	123
5	$(12,250 * 107\%) = 13,108;$ $13,108 * 1\% =$	131

ამდენად, ხუთი წლის შემდეგ მომუშავე ერთჯერადად მიიღებს 655 ფე (131 ფე \* 5წ.), რისთვისაც ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად უნდა აღიარდეს 131 ფე ტოლო ხარჯი და ვალდებულება დისკონტირებული ღირებულებით.

ვალდებულების განსაზღვრა საპენსიო ფონდის მიმართ (ფე)

წელი	1	2	3	4	5
ვალდებულების საწყისი ნაშთი	0	89	196	324	476

საპროცენტო განაკვეთი 10%	0	9	20	33	48
მიმდინარე მომსახურების ღირებულება	89 (131*0.6830)	98 (131*0.7513)	108 (131*0.8264)	119 (131*0.9091)	131
ვალდებულების საბოლოო ნაშთი	89	196	324	476	655

ამოცანა 6. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის აღრიცხვის ტიპური ოპერაციები:

დავალება: აღწერეთ დადგენილგადასახდელიანი პროგრამის აღრიცხვის ოპერაციების გატარებები.

პასუხი:

დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ტიპური ოპერაციები:

		დებეტი	კრედიტი
	<b>საპენსიო ფონდთან წარმოებული ოპერაციები -საპენსიო პროგრამის აქტივები და ვალდებულებები</b>		
1	საპენსიო პროგრამის აქტივები	2490	
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210
	შენატანები საპენსიო ფონდში		
2	საპენსიო პროგრამის ვალდებულებები	4310	
	საპენსიო პროგრამის აქტივები		2490
	განაცემებით საპენსიო ფონდიდან მცირდება საპენსიო ფონდის აქტივები და ვალდებულებები (ფაქტი)		
	<b>მიმდინარე პერიოდში გაწეული მომსახურების ღირებულება, საპროცენტო ხარჯის ღირებულება და აქტივებიდან მოსალოდნელი საინვეტიციო შემოსავალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში</b>		
3	მიმდინარე პერიოდში გაწეული მომსახურების ხარჯი	7XXX	
	საპენსიო პროგრამის ვალდებულებები		4310
	მიმდინარე პერიოდში გაწეული მომსახურების ღირებულების (ხარჯის) აღიარება (აქტუარული შეფასებით); წინა პერიოდების მომსახურების ღირებულების კორექტირება - ზრდა (აქტუარული შეფასებით, თუ ასეთს ექნა ადგილი)		
4	საპროცენტო ხარჯის ღირებულება	7XXX	

	საპენსიო პროგრამის ვალდებულებები		4310
	საპროცენტო ხარჯის ღირებულების აღიარება [(წმინდა ვალდებულების საწყისი ნაშთი * დისკონტირების განაკვეთი). განაკვეთი დადგენილია აქტუარული დაშვებებით]		
5	საპენსიო პროგრამის აქტივები	2490	
	სხვა შემოსავლები		8190
	საპენსიო ფონდის აქტივებიდან მოსალოდნელი საინვესტიციო შემოსავლის აღიარება [(აქტივების საწყისი ნაშთი * დისკონტირების განაკვეთი). განაკვეთი დადგენილია აქტუარული დაშვებებით]		
	<b>აქტუარული მოგება/ზარალი</b>		
	(სხვაობა ფაქტიურ მონაცემებსა და აღიარებულს (ე.წ.„მოსალოდნელს“) შორის აისახება კაპიტალის განაყოფში ან გადაფასების რეზერვზე ან პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაზე)		
6	საპენსიო პროგრამის აქტივები	2490	
	გადაფასების რეზერვი		5490
	აქტივების აქტუარული მოგების აღიარება [(ფაქტიური > აღიარებული აქტუარული შეფასებით), აღიარებული უნდა გაუტოლდეს ფაქტიურს, ანუ უნდა გაიზარდოს აქტივები]		
	გადაფასების რეზერვი	5490	
	საპენსიო პროგრამის აქტივები		2490
	აქტუარული ზარალის აღიარება [(ფაქტიური < აღიარებული აქტუარული შეფასებით), აღიარებული უნდა გაუტოლდეს ფაქტიურს, ანუ უნდა შემცირდეს აქტივები]		
7	გადაფასების რეზერვი	5490	
	საპენსიო პროგრამების ვალდებულებები		4310
	აქტუარული მოგების აღიარება [(ფაქტიური < აღიარებული აქტუარული შეფასებით), აღიარებული უნდა გაუტოლდეს ფაქტიურს, ანუ უნდა შემცირდეს ვალდებულებები]		
8	საპენსიო პროგრამების ვალდებულებები	4310	
	გადაფასების რეზერვი		5490
	ვალდებულებების აქტუარული ზარალის აღიარება [(ფაქტიური > აღიარებული აქტუარული შეფასებით), აღიარებული უნდა გაუტოლდეს ფაქტიურს, ანუ უნდა გაიზარდოს ვალდებულებები]		
	ბალანსში ვალდებულებები აისახება წმინდა თანხით, ანუ შემცირებული აქტივებით (გატარების გარეშე)		

ამოცანა 7. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში ([www.training.PWC.ru](http://www.training.PWC.ru)).

საწარმოს დადგენილგადასახდელიანი პროგრამის მაჩვენებლები (ფე):

	2017წ.
<b>წლის დასაწყისისათვის:</b>	
პროგრამის აქტივების რეალური ღირებულება	1,500
პროგრამის ვალდებულების დისკონტირებული ღირებულება	1,520
<b>წლის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციები:</b>	
შენატანები ფონდში (ფაქტი)	100
გადახდილი პენსიები (ფაქტი)	150
მიმდინარე მომსახურების ღირებულება (აქტუარის მონაცემები)	165
დისკონტირების განაკვეთი (აქტუარის დაშვება)	10%
<b>წლის ბოლოსათვის:</b>	
პროგრამის აქტივების ფაქტიური ღირებულება	1,670
პროგრამის ვალდებულებების ფაქტიური ღირებულება	1,700

დავალება: ასახეთ ანგარიშებზე წლის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციები.

**პასუხი:**

გამარტივების მიზნით საპროცენტო ხარჯი, მიმდინარე პერიოდის მომსახურების ხარჯი და საპროცენტო შემოსავალი ავსახოთ პირდაპირ ანგარიშზე 5330 „მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი“.

2490 პროგრამის აქტივები			
საწყისი ნაშთი	1,500		
1) შენატანები	100	2) გაცემული პენსიები	150
5) საპროცენტო შემოსავალი (1,500 * 10%)	150		
მოსალოდნელი ღირებულება	1,600		
6) აქტუარული მოგება (1,670 - 1,600)	70		

ნაშთი პერიოდის ბოლოს	1,670	
----------------------	-------	--

4310 პროგრამის ვალდებულებები		
		საწყისი ნაშთი 1,520
2) გაცემული პენსიები 150	3) მიმდინარე მომსახურების ღირებულება 165	
	4) საპროცენტო ხარჯი (1,520 *10%) 152	
	მოსალოდნელი ღირებულება 1,687	
	7) აქტუარული ზარალი (1,700 - 1,687) 13	
	ნაშთი პერიოდის ბოლოს 1,700	

5330 მოგება-ზარალი		
3) მიმდინარე მომსახურების ღირებულება (აქტუარული დაშვებით) 165	5) საპროცენტო შემოსავალი 150	
4) საპროცენტო ხარჯი 152		

5490 გადაფასების რეზერვი (დაგროვილი აქტუარული მოგება-ზარალი)		
7) აქტუარული ზარალი 13	6) აქტუარული მოგება 70	
	საბოლოო ნაშთი 57	

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან 31.12. 2017წ. (ფე)

გრძელვადიანი ვალდებულებები	
საპენსიო აქტივების რეალური ღირებულება	1,670
საპენსიო ვალდებულებების დისკონტირებული ღირებულება	(1,700)
წმინდა ვალდებულება	30
<b>კაპიტალი</b>	
დაგროვილი აქტუარული მოგება	57

--	--

**ამონარიდი 2017 წლის სრული შემოსავლის ანგარიშებიდან (ფე)**

<b>მოგებისა და ზარალის ანგარიშგება</b>	
მიმდინარე მომსახურების ღირებულება	(165)
წმინდა საპროცენტო ხარჯი (152-150)	(2)
<b>სხვა სრული შემოსავლები ანგარიშგება</b>	
აქტუარული მოგება-ზარალი	57



## თემა 7. ინვესტიციების აღრიცხვა (ზასს 32,39,40, ფასს 9)

ამოცანა 1. ფულადი სერტიფიკატის შეძენა.

კომპანიამ მიმდინარე წლის 31 იანვარს შეიძინა 57,000 ლარის ნომინალური ღირებულების საბანკო ფულადი სერტიფიკატი, საპროცენტო სარგებელი შეადგენს 10%, ვადა 95 დღე. პროცენტი გადაიხდება ყოველთვიურად.

დავალება: ასახეთ სერტიფიკატის შეძენა, შემოსავლების აღიარება და განაღდება.

პასუხი:

საპროცენტო შემოსავლების გაანგარიშება (ლარი)

თვე	დღეთა რაოდენობა	გაანგარიშება	საპროცენტო შემოსავალი
თებერვალი	28	$57,000 * 10\% * 28/365$	437.26
მარტი	31	$57,000 * 10\% * 31/365$	484.11
აპრილი	30	$57,000 * 10\% * 30/365$	468.49
მაისი	6	$57,000 * 10\% * 6/365$	<u>93.70</u>
	95		1,483.56

ოპერაციები აისახება შემდეგი გატარებებით:

თარიღი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
31.01.	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები	1390		57,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	57,000
	სერტიფიკატის შეძენა			
28.02	მისაღები პროცენტები	1820		437.26
	საპროცენტო შემოსავალი		8110	437.26
	სერტიფიკატის მოქმედების ვადაში სათანადო თანხებით აღიარდება საპროცენტო შემოსავალი და ა.შ. მარტში და აპრილში			
06.05	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		58,483.56

	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები		1390	57,000
	მისაღები პროცენტები		1820	1,483.56
	სერტიფიკატის განაღდება			

➤ ინვესტიციები ფიქსირებული შემოსავლების მქონე სასესხო ფინანსური აქტივებში

✓ **ობლიგაციები**

საბაზრო ღირებულების გადამეტება ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებაზე არის პრემია (ფასნამატი), რომელიც ინვესტორსათვის არის ხარჯი, ხოლო ემიტენტისათვის – შემოსავალი.

სიდიდე, რომლითაც მცირდება აქციების ნომინალური ღირებულება, არის დისკონტი (ფასდაკლება), რომელიც ინვესტორისათვის არის შემოსავალი, ხოლო ემიტენტისათვის – ხარჯი.

ყველა მაგალითში ობლიგაციები არის „საკონტრაქტო ფულადი ნაკადების“ ბიზნეს-მოდელის ნაწილი.

**ამოცანა 2. ობლიგაციის შექმნა საბაზრო საპროცენტო განაკვეთით**

კომპანიამ 300,000 ლარად ნომინალური ღირებულებით შეიძინა ობლიგაციები 10%-იანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. პროცენტი მიიღება წლის ბოლოს, ძირითადი თანხა დაიფარება მე-3 წლის ბოლოს.

**დავალება: ასახეთ ობლიგაციების შექმნა.**

**პასუხი:**

წელი	თვითღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო შემოსავალი 10%	თვითღირებულება წლის ბოლოს
1	2	3	4
1	300,000	30,000	300,000
2	300,000	30,000	300,000

3	<u>300,000</u>	<u>30,000</u>	300,000
	300,000	90,000	

ოპერაციები აისახება შემდეგი საჭურნალო გატარებებით:

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
1	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		300,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	300,000
	ინვესტიცია ობლიგაციებში			
	მისაღები პროცენტები	1820		30,000
	საპროცენტო შემოსავალი		8110	30,000
	საპროცენტო შემოსავლის აღიარება			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		30,000
	მისაღები პროცენტები		1820	30,000
	პროცენტის მიღება			
2	მისაღები პროცენტები	1820		30,000
	საპროცენტო შემოსავალი		8110	30,000
	საპროცენტო შემოსავლის აღიარება			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		30,000
	მისაღები პროცენტები		1820	30,000
	პროცენტის მიღება			
3	მისაღები პროცენტები	1820		30,000
	საპროცენტო შემოსავალი		8110	30,000
	საპროცენტო შემოსავლის აღიარება			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		330,000
	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში		2410	300,000
	მისაღები პროცენტები		1820	30,000
	პროცენტის მიღება და ინვესტიციების განაღდება			

ამოცანა 3 ობლიგაციის შექმნა დისკონტით (ფასდაკლებით)

კომპანიამ 50,000 ლარის ნომინალური ღირებულების კორპორაციული ობლიგაციები 5% განაკვეთით შეიძინა 43,782 ლარად. საბაზრო საპროცენტო განაკვეთია 10%. პროცენტი მიიღება წლის ბოლოს, ძირითადი თანხა დაიფარება მე-3 წლის ბოლოს.

**დავალება: ასახეთ ობლიგაციების შეძენა.**

**პასუხი:**

ობლიგაციის რეალური ღირებულება (ლარი):

საპროცენტო შემოსავლების დისკონტირებული ღირებულება: $50,000 * 5\% = 2,500$ ; PVA (3,10%) $2,500 * 2.48685$	6,217
გასანადღებელი თანხის დისკონტირებული ღირებულება: PV (3,10%) $50,000 * 0.7513$	<u>37,565</u>
ობლიგაციების საბაზრო ღირებულება	43,782
ობლიგაციების ნომინალური ღირებულება	50,000
ობლიგაციების ნომინალის დისკონტი	6,218

დისკონტისა და ობლიგაციების საბალანსო ღირებულების ამორტიზება

წელი	საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო შემოსავალი 10% (1*10%)	მისაღები პროცენტი 5% (50,000*5%)	დისკონტის თანხის ამორტიზება (2-3)	საბალანსო ღირებულება (1+4)
	1	2	3	4	5
					43,782
1	43,782	4,378	2,500	1,878	45,660
2	45,660	4,566	2,500	2,066	47,726
3	47,726	<u>4,774</u>	<u>2,500</u>	<u>2,274</u>	50,000
		13,718	7,500	6,218	

ოპერაციები აისახება შემდეგი საჭურნალო გატარებებით:

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი	
1	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		43,782	
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	43,782	
	ინვესტიციის აღიარება რეალური ღირებულებით				
	მისაღები პროცენტები	1820		2,500	
	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		1,878	
	საპროცენტო შემოსავალი		8110	4,378	
	საპროცენტო შემოსავლის აღიარება და ობლიგაციის ამორტიზება (დისკონტის თანხით საპროცენტო შემოსავლის და ობლიგაციის გაზრდა)				
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		2,500	
	მისაღები პროცენტები		1820	2,500	
	საპროცენტო შემოსავლის მიღება				
2	მისაღები პროცენტები	1820		2,500	
	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		2,066	
	საპროცენტო შემოსავალი		8110	4,566	
	საპროცენტო შემოსავლის აღიარება და ობლიგაციის ამორტიზება (დისკონტის თანხით საპროცენტო შემოსავლის და ობლიგაციის გაზრდა)				
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		2,500	
	მისაღები პროცენტები		1820	2,500	
	საპროცენტო შემოსავლის აღიარება და ობლიგაციის ამორტიზება (დისკონტის თანხით საპროცენტო შემოსავლის და ობლიგაციის გაზრდა)				
	საპროცენტო შემოსავლის მიღება				
3	მისაღები პროცენტები	1820		2,500	
	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		2,274	
	საპროცენტო შემოსავალი		8110	4,774	
	საპროცენტო შემოსავლის აღიარება				
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		52,500	
	მისაღები პროცენტები		1820	2,500	
	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში		2410	50,000	

ქაღალდებში			
საპროცენტო შემოსავლის მიღება და ობლიგაციის განაღდება			

**ამოცანა 4. ობლიგაციის შექმნა პრემიით (ფასნამატი)**

კომპანიამ 100,000 ლარის ნომინალური ღირებულების კორპორაციული 12%-იანი ობლიგაციები შეიძინა 107,595 ლარად. პროცენტი მიიღება წლის ბოლოს, ძირითადი თანხა დაიფარება მე-3 წლის ბოლოს. საბაზრო საპროცენტო განაკვეთია 9%.

**დავალება: ასახეთ ობლიგაციების შექმნა.**

**პასუხი:**

ობლიგაციის რეალური ღირებულება (ლარი):

საპროცენტო შემოსავლების დისკონტირებული ღირებულება: PVA (3,9%) 12,000 * 2.53129	30,375
გასანაღდებელი თანხის დისკონტირებული ღირებულება: PV (3,9%) 100,000 * 0.7722	<u>77,220</u>
ობლიგაციების საბაზრო ღირებულება	107,595
ობლიგაციების ნომინალური ღირებულება	100,000
ობლიგაციების ნომინალის პრემია (ფასნამატი)	7,595

**დისკონტისა და ობლიგაციების საბალანსო ღირებულების ამორტიზება**

წელი	საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო შემოსავალი 9% (1*9%)	მისაღები პროცენტი 12% (100,000*12%)	დისკონტის თანხის ამორტიზება (2-3)	საბალანსო ღირებულება (1+4)
	1	2	3	4	6
					107,595
1	107,595	9,683	(12,000)	-2,317	105,278
2	105,278	9,475	(12,000)	-2,525	102,753
3	102,753	9,247	(12,000)	-2,753	100,000

ოპერაციები აისახება შემდეგი საჭურნალო გატარებებით:

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		107,595
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	107,595
	ინვესტიცია ობლიგაციებში			
	მისაღები საპროცენტო შემოსავალი	1820		12,000
	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში		2410	2,317
	საპროცენტო შემოსავლები		8110	9,683
	საპროცენტო შემოსავლების აღიარება და ობლიგაციების ამორტიზება (პრემიის თანხით ობლიგაციის ღირებულების და შემოსავლების შემცირება)			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		12,000
	მისაღები საპროცენტო შემოსავალი		1820	12,000
	საპროცენტო შემოსავლის მიღება			
2	მისაღები საპროცენტო შემოსავალი	1820		12,000
	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში		2410	2,525
	საპროცენტო შემოსავლები		8110	9,475
	საპროცენტო შემოსავლების აღიარება და ობლიგაციების ამორტიზება (პრემიის თანხით ობლიგაციის ღირებულების და შემოსავლების შემცირება)			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		12,000
	მისაღები საპროცენტო შემოსავალი		1820	12,000
	საპროცენტო შემოსავლის მიღება			
3	მისაღები საპროცენტო შემოსავალი	1820		12,000
	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში		2410	2,753
	საპროცენტო შემოსავლები		8110	9,247
	საპროცენტო შემოსავლების აღიარება და ობლიგაციების ამორტიზება (პრემიის თანხით ობლიგაციის ღირებულების და შემოსავლების შემცირება)			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		112,000
	მისაღები საპროცენტო შემოსავალი		1820	12,000
	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში		2410	100,000

**ამოცანა 5. სასაქონლო თამასუქი.**

კომპანიამ გაყიდა 300,000 ლარის საქონლი. მყიდველმა კომპანიამ მოითხოვა საქონლის ღირებულების გადახდის სამწლიანი გადავადება. შეთანხმება გაფორმდა თამასუქით, რომლის მიხედვით სამი წლის შემდეგ კომპანია მიიღებს 456,263 ლარს.

**დავალება:** ასახეთ ბუღალტრული მუხლით თამასუქის მიღება და საინვესტიციო შემოსავალი.

**პასუხი:**

გარიგება თავისი შინაარსით არის ფინანსური ოპერაცია, ვინაიდან რეალიზაციის ღირებულების გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისაგან განსხვავებული პირობებით. ამდენად, უნდა განისაზღვროს რა საპროცენტო განაკვეთი არის გამოყენებული გარიგებაში:

$$300,000/456,263 = 0.657505, \text{ ეს კოეფიციენტი შეესაბამება PV (3, 15\%).}$$

**თამასუქის საბალანსო ღირებულების ამორტიზებება და საპროცენტო შემოსავლის აღიარება**

წელი	ამორტიზებული ღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო შემოსავალი (15%)
1	300,000	45,000
2	345,000	51,750
3	<u>396,750</u>	<u>59,513</u>
	456,263	156,263

ოპერაციები აისახება შემდეგი საჭურნალო გატარებებით:

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები	2490		300,000
	შემოსავალი რეალიზაციიდან		6110	300,000
	თამასუქის მიღება			
	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები	2490		45,000
	საპროცენტო შემოსავალი		8110	45,000
	საპროცენტო შემოსავალის აღიარება და თამასუქის საბალანსო ღირებულების ამორტიზება			
2	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები	2490		51,750
	საპროცენტო შემოსავალი		8110	51,750
3	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები	2490		59,513
	საპროცენტო შემოსავალი		8110	59,513
	საპროცენტო შემოსავალის აღიარება და თამასუქის საბალანსო ღირებულების ამორტიზება			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		456,263
	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები		2490	456,263
	თამასუქის განაღდება			

**ამოცანა 6. მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნა.**

კომპანიამ 500,000 ლარი გაასესხა სხვა კომპანიიზე 12%-ით პერიოდით 1 მარტიდან – 15 აპრილის ჩათვლით. კომპანიის ბიზნეს-მოდელირებით ინვესტიციები არის „მოკლევადიანი ლიკვიდურობის მართვის“ ნაწილი.

**დავალება: ასახეთ სათამასუქო მოთხოვნა.**

**პასუხი:**

გავიანგარიშოთ საპროცენტო შემოსავალი (ლარი):

მიმდინარე წელი	დღეთა რაოდენობა	საპროცენტო შემოსავლების განგარიშება	საპროცენტო შემოსავალი
მარტი	31	$500,000 * 0.12 * 31/365$	5,060

აპრილი	15	500,000 * 0.12 * 15/365	<u>2,466</u>
	46		7,562

ოპერაციები აისახება შემდეგი საჟურნალო გატარებებით:

№	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
მარტი	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები	1390		500,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	500,000
	თამასუქის მიღება			
მარტი	მისარები პროცენტები	1820		5,060
	საპროცენტო შემოსავალი		8110	5,060
	საპროცენტო შემოსავლის აღიარება			
აპრილი	მისარები პროცენტები	1820		2,466
	საპროცენტო შემოსავალი		8110	2,466
	საპროცენტო შემოსავლის აღიარება			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		507,562
	მისარები პროცენტები		1820	7,562
	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები		1390	500,000
	თამასუქის განაღდება და საპროცენტო შემოსავლის მიღება			

**ამოცანა 7. უპროცენტო თამასუქის შეძენა.**

კომპანიამ ბანკში შეიძინა 250,880 ლარის ნომინალური ღირებულების თამასუქი 200,000 ლარად. თამასუქის განაღდება მოხდება მეორე წლის ბოლოს.

**დავალება:** ასახეთ თამასუქის შეძენისა და განაღდების ოპერაციები.

**პასუხი:**

გარიგებაში ნაგულისხმევი განაკვეთია:  $200,000/250,880 = 0,7972$ , რაც შეესაბამება PV (2,12%). ამდენად, გარიგება შედგა დისკონტით.

მოვახდინოთ თამასუქის საბალანსო ღირებულების ამორტიზება და შემოსავლების განსაზღვრა:

წელი	ამორტიზებული ღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო შემოსავალი 12%
1	200,000	24,000
2	<u>224,000</u>	<u>26,880</u>
	250,880	50,880

კომპანიის საერთო საპროცენტო შემოსავალია 50,880 ლარი, მ.შ. დისკონტი – 4,240 ლარი.

ოპერაციები აისახება შემდეგი საჭურნალო გატარებებით:

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	გრძელვადიანი ინვესტიციები თამასუქებში	2440		200,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	200,000
	თამასუქის შექმნა			
	გრძელვადიანი ინვესტიციები თამასუქებში	2440		24,000
	საპროცენტო შემოსავალი		8110	24,000
	თამასუქის საბალანსო ღირებულების ამორტიზება (გაზრდა) და საპროცენტო შემოსავლის აღიარება			
2	გრძელვადიანი ინვესტიციები თამასუქებში	2440		26,880
	საპროცენტო შემოსავალი		8110	26,880
	თამასუქის საბალანსო ღირებულების ამორტიზება (გაზრდა) და საპროცენტო შემოსავლის აღიარება			
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		250,880
	გრძელვადიანი ინვესტიციები თამასუქებში		2440	250,880
	თამასუქის განაღდება			

**ამოცანა 8.** საინვესტიციო ქონების (გაცემული ფინანსური იჯარით) შეფასება გადაფასების მოდელით (ბასს 16).

საწარმომ სამი წლის წინ 800,000 ლარად შეიძინა შენობა, რომელსაც აქირავებს ოპერაციული იჯარი. შენობა არ არის კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად. გამოყენების ვადა განისაზღვრა 30 წლით. სააღრიცხვო პოლიტიკით აქტივი აღირიცხება

ბასს 16-ის შესაბამისად გადაფასების მოდელით. სამი წლის განმავლობაში აქტივის რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ხოლო მეოთხე წლის ბოლოს აქტივის ღირებულება გახდა 900,000 ლარი. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შენობის გადაფასების გადაწყვეტილება, რის შემდეგ აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრა 25 წლით.

**დავალბა:** ასახეთ გადაფასებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ოპერაცია (უგულებლყოფილია მოგების გადასახადი).

**პასუხი:**

გადაფასების შედეგი:

მაჩვენებლები	ლარი
თვითღირებულება	800,000
დაგროვილი ცვეთა (8000*3/30)	(80,000)
საბალანსო ღირებულება	720,000
რეალური ღირებულება	900,000
აფასება	180,000

**ოპერაციები ასახვა შემდეგი საჭურნალო გატარებებით:**

№	ოპერაციის შენაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	შენობების დაგროვილი ცვეთა	2230		80,000
	შენობები		2130	80,000
	ცვეთის ელიმინირება			
2	შენობები	2130		180,000
	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		5420	180,000
	შენობის აფასება			
3	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	7455		36,000
	შენობების ცვეთა		2230	36,000
	მიმდინარე წლის ცვეთის დარიცხვა (900,000 * 1/25წ. )			
4	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5420		7,200
	გაუნაწილებელი მოგება		5310	7,200
	გაუნაწილებელ მოგებაზე აფასების ნამეტის გადატანა (ვინაიდან ცვეთის ხარჯის			

ზრდამ აფასების ნაწილით გამოიწვია მოგების შემცირება) – 180,000 * 1/25წ.
--

**ამოცანა 9. ჩვეულებრივი იჯარით გაცემული ქონების კლასიფიცირება საინვესტიციო ქონებად.**

საწარმომ ორი წლის წინ 700,000 ლარად შეიძინა შენობა, რომელსაც აქირავებს ოპერაციული იჯარით და როგორც ალტერნატივა (ბასს 40, პ.6), კლასიფიცირებული აქვს საინვესტიციო ქონებად. სააღრიცხვო პოლიტიკით აქტივი აღირიცხება ბასს 40-ის შესაბამისად რეალური ღირებულებით. პირველი და მეორე წლის განმავლობაში აქტივის რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ხოლო მესამე წლის ბოლოსათვის აქტივის რეალური ღირებულება გახდა 800,000 ლარი.

**დავალება: ასახეთ ქონების რეალური ღირებულების ცვლილება.**

**პასუხი:**

ოპერაციები აისახება შემდეგი საჭურნალო გატარებებით:

წელი	ოპერაციის შენაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
1	შენობები	2130		700,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	700,000
	შენობის შეძენა			
3	შენობები	2130		100,000
	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		8190	100,000
	შენობის რეალური ღირებულების ზრდის აღიარება			

**ამოცანა 10. რეალური ღირებულებით შეფასებული ქონების ღირებულების ცვლილების ასახვა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.**

საწარმოს აქვს სამი შენობა, ყველა შეძენილია 2015 წელს. საამქროსა და საწყობის შენობა შეძენის დღიდან გაცემულია ოპერაციული იჯარით, რომელსაც სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად განიხილავს საინვესტიციო ქონებად და აღრიცხავს რეალური ღირებულებით ბასს 40-ის შესაბამისად. საოფისე შენობას აღრიცხავს ბასს 16-ის

შესაბამისად წლიური ცვეთის 10% განაკვეთით. ინფორმაცია ამ ქონების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში:

შენიშვნა	თვითღირებულება	რეალური ღირებულება 2016წ. 31 დეკემბრისათვის	რეალური ღირებულება 2017წ. 31 დეკემბრისათვის
საოფისე	250,000	265,000	280,000
საამქროს	500,000	520,800	503,600
საწყობის	350,500	370,200	360,000

დავალება: მოამზადეთ ამონარიდი 2016 და 2017 წლების მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან.

პასუხი:

ამონარიდი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან (ლარი)

მაჩვენებლები	2015წ.	2016წ.
საოფისე შენობის ცვეთის ხარჯი (250,000 * 10%)	-25,000	-25,000
საამქროს შენობის:		
გადაფასებით მიღებული მოგება (520,800 - 500,000)	20,800	
გადაფასებით მიღებული ზარალი (503,600 - 520,800)		-17,200
საწყობის შენობის:		
გადაფასებით მიღებული მოგება (370,200 - 350,500)	19,700	
გადაფასებით მიღებული ზარალი (360,000 - 370,200)		-10,200
<b>სულ ხარჯი (-)/მოგება (+)</b>	<b>+15,500</b>	<b>- 52,400</b>

შეფასებების შეცვლა საინვესტიციო ქონების კატეგორიების შეცვლის შესაბამისად

კატეგორიის შეცვლამდე		კატეგორიის შეცვლის მომენტში	
კატეგორია	შეფასება	კატეგორია	შეფასება
საინვესტიციო ქონება	რეალური ღირებულებით	ძირითადი საშუალებები	ღირებულების

საინვესტიციო ქონება	რეალური ღირებულებით	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	კორექტირება არ ხდება
ძირითადი საშუალებები	თვითღირებულებით	რეალური ღირებულებით აღსარიცხავი საინვესტიციო ქონება	რეალური ღირებულებით, საბალანსო ღირებულების კორექტირებით ბასს 16-ის შესაბამისად
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	თვითღირებულებით	რეალური ღირებულებით აღსარიცხავი საინვესტიციო ქონება	რეალური ღირებულებით, საბალანსო ღირებულების კორექტირებით მოგება-ზარალში
მშენებლობის სტადიაში მყოფი ქონება	თვითღირებულებით	რეალური ღირებულებით აღსარიცხავი საინვესტიციო ქონება	

**ამოცანა 11. საინვესტიციო ქონების კატეგორიის შეცვლა.**

საწარმო ფლობს ორ შენობას, რომელიც იყო მის მიერ დაკავებული და რომელიც აღირიცხებოდა ბასს 16-ის გადაფასების მოდელის შესაბამისად, ცვეთა ერიცხებოდა 10%-იანი განაკვეთით. 2018 წლის იანვრიდან ქონება გაცემულია იჯარით და გადაწყდა მისი აღრიცხვა ბასს 40-ის შესაბამისად რეალური ღირებულებით. ქვემოთ წარმოდგენილია მონაცემები კომპანიის ქონების ღირებულების შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრისათვის ქონების კლასიფიკაციის შეცვლამდე:

საწარმოს მონაცემები ქონების კლასიფიკაციის შეცვლამდე  
2017 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარი)

შენობა	თვითღირებულება	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება	გადაფასების	რეალური ღირებულება
--------	----------------	-----------------	----------------------	-------------	--------------------

				რეზერვი	
საოფისე	400,900	120,270	280,630	12,000	250,700
საწყობის	520,500	156,150	364,350	0	390,000

**დავალება:**

- ა) ასახეთ საჭურნალო გატარებებით საინვესტიციო ქონების კატეგორიის შეცვლა;
- ბ) მოამზადეთ ამონარიდი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და ბალანსიდან ქონების კატეგორიის შეცვლის გათვალისწინებით.

**პასუხი:**

**ა) საინვესტიციო ქონების კატეგორიის შეცვლა**

საოფისე შენობა ჩამოფასდა 29,930 ლარით (250,700 - 280,630) და რადგან მასზე წინა საანგარიშგებო პერიოდებში წარმოქმნილი იყო 12,000 ლარის აფასების რეზერვი, მხოლოდ 17,930 ლარის ზარალი (29,390 - 12,000) უნდა აღიარდეს მიმდინარე პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ამ ზარალის გადაფარვა საწყობის შენობის ღირებულების ნამეტით არ შეიძლება.

ეს არის ცვლილებები შეფასებებში და აისახება პერსპექტიულად – მიმდინარე პერიოდის (2017წ.) ფინანსურ ანგარიშგებაში შემდეგი გატარებებით:

№	ანგარიშგების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
1	შენობების ცვეთა	2230		120,270
	შენობები		2130	120,270
	საოფისე შენობის ცვეთის ელიმინირება			
2	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვები	5420		12,000
	არასაოპერაციო ზარალი	8220		17,930
	შენობები		2130	29,930
	გადაფასების რეზერვის ანულირება და საოფისე შენობის საბალანსო ღირებულების მოყვანა შესაბამისობაში მის რეალურ ღირებულებასთან			
3	შენობების ცვეთა	2230		156,150
	შენობები		2130	156,150
	საწყობის შენობის ცვეთის ელიმინირება			

4	შენობები	2130		25,650
	არასაოპერაციო მოგება		8130	25,650
	საოფისე შენობის საბალანსო ღირებულების მოყვანა შესაბამისობაში მის რეალურ ღირებულებასთან			

ბ) ამონარიდი მოგებისა და ზარალის ანგარიშებისა და ბალანსიდან ქონების კატეგორიის შეცვლის გათვალისწინებით

ქონების ღირებულებაში ცვლილებები შეიტანება ქონების გამოყენების შეცვლის თარიღიდან, ანუ ქონების ღირებულების ცვლილება კორექტირება აისახება 2017 წლის ანგარიშგებაში.

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან

2017 წ. 31 დეკემბრისათვის (ლარი)

<b>შენობები:</b>	
საოფისიე	250,700
საწყობის	390,000
<b>გადაფასების რეზერვები:</b>	
საოფისიე	0
საწყობის	0

ამონარიდი 2017 წ. მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან (ლარი)

საოფისე შენობის ჩამოფასებით მიღებული ზარალი [(250,700 - 280,630) + 12,000]	17,930
საწყობის შენობის აფასებით მიღებული მოგება (390,000 - 364,350)	25,650



**თემა 8. ფინანსური ინსტრუმენტები (ფასს 9)**

**ამოცანა 1. ობლიგაციის გამოშვება საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.**

კომპანიამ 300,000 ლარად ნომინალური ღირებულებით გამოუშვა (გაყიდა) ობლიგაციები 10%-იანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. პროცენტი გადაიხდება წლის ბოლოს, ძირითადი თანხა – მე-3 წლის ბოლოს.

**დავალება: ასახეთ ობლიგაციების გამოშვება.**

**პასუხი:**

წელი	თვითღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო ხარჯი 10%	თვითღირებულება წლის ბოლოს
1	2	3	4
1	300,000	30,000	300,000
2	300,000	30,000	300,000
3	<u>300,000</u>	<u>30,000</u>	300,000
	300,000	90,000	

**ოპერაციების საჟურნალო გატარებები:**

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		300,000
	გასანადღებელი ობლიგაციები		4110	300,000
	ობლიგაციების გამოშვება			
	საპროცენტო ხარჯები	8210		30,000
	გადასახდელი პროცენტები		3410	30,000
	საპროცენტო ხარჯის აღიარება			
	გადასახდელი პროცენტები	3410		30,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	30,000
	პროცენტის გადახდა			
2	საპროცენტო ხარჯები	8210		30,000
	გადასახდელი პროცენტები		3410	30,000

	საპროცენტო ხარჯის აღიარება			
	გადასახდელი პროცენტები	3410		30,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	30,000
	პროცენტის გადახდა			
3	საპროცენტო ხარჯები	8210		30,000
	გადასახდელი პროცენტები		3410	30,000
	საპროცენტო ხარჯის აღიარება			
	გასანადღებელი ობლიგაციები	4110		300,000
	გადასახდელი პროცენტები	3410		30,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	330,000
	პროცენტის გადახდა და სესხის ძირითადი თანხის გადახდა			

**ამოცანა 2. ობლიგაციის გამოშვება დისკონტით.**

კომპანიამ 50,000 ლარის ნომინალური ღირებულების კორპორაციული ობლიგაციები 5%-იანი განაკვეთით გამოუშვა (გაყიდა) 43,782 ლარად. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 10%. პროცენტი გადაიხდება წლის ბოლოს, ძირითადი თანხა დაიფარება მე-3 წლის ბოლოს.

**დავალება:** ასახეთ ობლიგაციების გამოშვება.

**პასუხი:**

ობლიგაციის რეალური ღირებულება არის (ლარი):

საპროცენტო თანხის დისკონტირებული ღირებულება: $50,000 * 5\% = 2,500$ ; PVA (3,10%) $2,500 * 2.48685$	6,217
განადღების დისკონტირებული ღირებულება: PV (3,10%) $50,000 * 0.7513$	<u>37,565</u>
ობლიგაციების საბაზრო ღირებულება	43,782
ობლიგაციების ნომინალური ღირებულება	50,000
ობლიგაციების ნომინალის დოსკონტი	6,218

დისკონტისა და ობლიგაციების საბალანსო ღირებულების ამორტიზება

წელი	საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო ხარჯი 10% (1*10%)	გადასახდელი პროცენტი 5% (50,000*5%)	დისკონტის თანხის ამორტიზება (2-3)	საბალანსო ღირებულება (1+4)
	1	2	3	4	5
					43,782
1	43,782	4,378	2,500	1,878	45,660
2	45,660	4,566	2,500	2,066	47,726
3	47,726	<u>4,774</u>	<u>2,500</u>	<u>2,274</u>	50,000
		13,718	7,500	6,218	

ოპერაციების საქურნალო გატარებები:

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი	
1	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		43,782	
	გასანადღებელი ობლიგაციები		4110	43,782	
	ობლიგაციების გაყიდვა და ვალდებულების აღიარება				
	საპროცენტო ხარჯები	8210		4,378	
	გასანადღებელი ობლიგაციები		4110	1,878	
	გადასახდელი პროცენტები		3410	2,500	
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და ობლიგაციების ამორტიზება (დისკონტის თანხით საპროცენტო ხარჯის და ვალდებულების/ობლიგაციის საბალანსო ღირებულების ზრდა )				
	გადასახდელი პროცენტები	3410		2,500	
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	2,500	
პროცენტის გადახდა					
2	საპროცენტო ხარჯები	8210		4,566	
	გასანადღებელი ობლიგაციები		4110	2,066	
	გადასახდელი პროცენტები		3410	2,500	
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და ობლიგაციების ამორტიზება (დისკონტის თანხით საპროცენტო ხარჯის და ვალდებულების/ობლიგაციის საბალანსო ღირებულების ზრდა)				
	გადასახდელი პროცენტები	3410		2,500	

	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	2,500
	პროცენტის გადახდა			
3	საპროცენტო ხარჯები	8210		4,774
	გასანაღდებელი ობლიგაციები		4110	2,274
	გადასახდელი პროცენტები		3410	2,500
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და ობლიგაციების ამორტიზება			
	გასანაღდებელი ობლიგაციები	4110		50,000
	გადასახდელი პროცენტები	3410		2,500
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	52,500
	საპროცენტო ხარჯის გადახდა და ობლიგაციის განაღდება			

**ამოცანა 3. ობლიგაციის გამოშვება პრემიით (ფასნამატი).**

კომპანიამ 100,000 ლარის ნომინალური ღირებულების კორპორაციული 12%-იანი ობლიგაციები გამოუშვა (გაყიდა) 107,595 ლარად. პროცენტი გადაიხდება წლის ბოლოს, ძირითადი თანხა დაიფარება მე-3 წლის ბოლოს. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 9%.

**დავალება: ასახეთ ობლიგაციების გამოშვება.**

**პასუხი:**

ობლიგაციის რეალური ღირებულება არის (ლარი):

საპროცენტო თანხის დისკონტირებული ღირებულება: PVA (3,9%) 12,000 * 2.53129	30,375
განაღდების დისკონტირებული ღირებულება: PV (3,9%) 100,000 * 0.7722	<u>77,220</u>
ობლიგაციების საბაზრო ღირებულება	107,595
ობლიგაციების ნომინალური ღირებულება	100,000
ობლიგაციების ნომინალის პრემია (ფასნამატი)	7,595

დისკონტისა და აბლიგაციების საბალანსო ღირებულების ამორტიზება

წელი	საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო ხარჯი 9% (1*9%)	გადასახდელი პროცენტი 12% (100,000*12%)	დისკონტის თანხის ამორტიზება (2-3)	საბალანსო ღირებულება (1+4)
	1	2	3	4	5
					107,595
1	107,595	9,683	12,000	-2,317	105,278
2	105,278	9,475	12,000	-2,525	102,753
3	102,753	<u>9,247</u>	<u>12,000</u>	<u>-2,753</u>	100,000
		28,405	36,000	-7,595	

ოპერაციების საჭურნალო გატარებები:

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი	
1	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		107,595	
	გასანადღებელი ობლიგაციები		4110	107,595	
	ობლიგაციების გაყიდვა და ვალდებულების აღიარება				
	საპროცენტო ხარჯები	8210		9,683	
	გასანადღებელი ობლიგაციები	4110		2,317	
	გადასახდელი პროცენტები		3410	12,000	
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და ობლიგაციის ამორტიზება (პრემიის თანხით საპროცენტო ხარჯის და ობლიგაციის/ვალდებულების საბალანსო ღირებულების შემცირება)				
	გადასახდელი პროცენტები	3410		12,000	
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	12,000	
	საპროცენტო ვალდებულების დაფარვა				
2	საპროცენტო ხარჯები	8210		9,475	
	გასანადღებელი ობლიგაციები	4110		2,525	
	გადასახდელი პროცენტები		3410	12,000	
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და ობლიგაციის ამორტიზება (პრემიის თანხით საპროცენტო ხარჯის და ობლიგაციის/ვალდებულების საბალანსო ღირებულების შემცირება)				
	გადასახდელი პროცენტები	3410		12,000	

	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	12,000
	საპროცენტო ვალდებულების დაფარვა			
3	საპროცენტო ხარჯები	8210		9,247
	გასანაღდებელი ობლიგაციები	4110		2,753
	გადასახდელი პროცენტები		3410	12,000
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და ობლიგაციის ამორტიზება (პრემიის თანხით საპროცენტო ხარჯის და ობლიგაციის/ვალდებულების საბალანსო ღირებულების შემცირება)			
	გასანაღდებელი ობლიგაციები	4110		100,000
	გადასახდელი პროცენტები	3410		12,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	112,000
	საპროცენტო ვალდებულებისა და ობლიგაციების განაღდება			

**ამოცანა 4. მოკლევადიანი სათამასუქო ვალდებულება.**

კომპანიამ ისესხა 500,000 ლარი სხვა კომპანიისაგან 12%-ით, პერიოდით 1 მარტიდან – 15 აპრილის ჩათვლით.

**დავალება: ასახეთ სასესხო ვალდებულება.**

**პასუხი:**

საპროცენტო ხარჯი (ლარი):

მიმდინარე წელი	დღეთა რაოდენობა	საპროცენტო შემოსავლების განგარიშება	საპროცენტო შემოსავალი
მარტი	31	$500,000 * 0.12 * 31/365$	5,060
აპრილი	15	$500,000 * 0.12 * 15/365$	<u>2,466</u>
	46		7,562

ოპერაციების საჟურნალო გატარებები:

№	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
მარტი	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		500,000
	გასანაღდებელი თამასუქები		3140	500,000
	თამასუქის გაცემა			

მარტი	საპროცენტო ხარჯები	8210		5,060
	გადასახდელი პროცენტი		3410	5,060
	საპროცენტო ხარჯის აღიარება			
აპრილი	საპროცენტო ხარჯები	8210		2,466
	გადასახდელი პროცენტი		3410	2,466
	საპროცენტო ხარჯის აღიარება			
	გასანაღდებელი თამასუქები	3140		500,000
	გადასახდელი პროცენტი	3410		7,562
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	507,562
	თამასუქის განაღდება და საპროცენტო შემოსავლის მიღება			

**ამოცანა 5. უპროცენტო სათამასუქო ვალდებულება.**

კომპანიამ 200,000 ლარად გასცა 250,880 ლარის ნომინალური ღირებულების თამასუქი. თამასუქის განაღდება მოხდება მეორე წლის ბოლოს. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 12-14%-ია.

**დავალება:** ასახეთ თამასუქის გაცემისა და განაღდების ოპერაციები.

**პასუხი:**

გარიგებაში ნაგულისხმევი განაკვეთი:  $200,000/250,880 = 0,7972$ , ეს კოეფიციენტი შეესაბამება 12%-ს, რაც ანალოგიურია საბაზრო განაკვეთისა.

მოვახდინოთ თამასუქის საბალანსო ღირებულების ამორტიზება და შემოსავლების განსაზღვრა:

წელი	ამორტიზებული ღირებულება წლის დასაწყისში	საპროცენტო ხარჯი 12%
1	200,000	24,000
2	<u>224,000</u>	<u>26,880</u>
	250,880	50,880

კომპანიის საერთო საპროცენტო ხარჯია 50,880 ლარი, მ.შ. დისკონტით – 4,240 ლარი.

ოპერაციების საჭურნალო გატარებები:

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებიტი	კრედიტი	ლარი
1	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		200,000
	გასანადღებელი თამასუქები		4150	200,000
	თამასუქის გაცემა და ვალდებულების აღიარება			
	საპროცენტო ხარჯები	8210		24,000
	გასანადღებელი თამასუქები		4150	24,000
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და თამასუქის ამორტიზება (საბალანსო ღირებულების გაზრდა)			
2	საპროცენტო ხარჯები	8210		26,880
	გასანადღებელი თამასუქები		4150	26,880
	საპროცენტო ხარჯის აღიარება და თამასუქის ამორტიზება (საბალანსო ღირებულების გაზრდა)			
	გასანადღებელი თამასუქები	4150		250,880
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	250,880
	თამასუქის განადღება – ვალდებულების დაფარვა			

#### ამოცანა 6. ინვესტიციები მოკლევადიან წილობრივ ინსტრუმენტებში

2017 წლის 1 იანვარს სს „თელავ“-მა შეიძინა სავაჭრო მიზნებისათვის შემდეგი აქციები: სს „კახეთი“-ს ჩვეულებრივი აქციები 5,000 ცალი, ერთი აქციის რეალური ღირებულება 11.70 ლარია; სს „მერიდიანი“-ს – 7,000 ცალი, ერთი აქციის რეალური ღირებულება 23.50 ლარია. 31 იანვარს აქციების საბაზრო ფასმა შეადგინა: სს კახეთის – 29.00 ლარი; სს მერიდიანის – 40.50 ლარი. 28 თებერვალს ამ აქციების ფასი იყო 13.00 ლარი და 50.00 ლარი,

კომპანიის ბიზნეს-მოდელირებით ინვესტიციები არის „მოკლევადიანი ლიკვიდურობის მართვის“ ნაწილი.

დავალება: ასახეთ სათანადო ბუღალტრული მუხლებით აქციების შეძენა და იანვრისა და თებერვლის თვის გადაფასება.

**პასუხი:**

აქტივები ფლობილია ვაჭრობისათვის, არის კოტირებადი და ფასდება რეალური ღირებულებით, ხოლო გადაფასების შედეგი აისახება "მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში".

იანვრის თვის გადაფასების შედეგები (ლარი)

ემიტენტის დასახელება	2017წ. 01.01. შეძენის თვითღირებულება	2017წ. 31.01. გადაფასებული ღირებულება	გადაფასების შედეგი
1	2	3	4 (სვ.3-2)
სს კახეთი	5,000 * 11.70 = 58,500	5,000 * 29.00 = 145,000	+86,500
სს მერიდიანი	7,000 * 23.50 = 164,500	7,000 * 40.50 = 283,500	+119,000
სულ	223,000	428,500	+205,500

თებერვლის თვის გადაფასების შედეგები (ლარი)

ემიტენტის დასახელება	2017წ. 01.02. თვითღირებულება	2017წ. 28.02. გადაფასებული ღირებულება	გადაფასების შედეგი
1	2	3	4 (სვ.3-2)
სს კახეთი	145,000	5,000 * 13.00 = 65,000	-80,000
სს მერიდიანი	283,500	7,000 * 50.00 = 350,000	+66,500
სულ	428,500	415,000	-13,500

ოპერაციების საჟურნალო გატარებები:

თარიღი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
2017წ. 01.01	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	1310		223,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	223,000
	აქციების შეძენა			
2017წ. 31.01	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	1310		205,500
	არასაოპერაციო მოგება		8130	205,500
	აქციების აფასებით მოგების აღიარება			

2017წ. 28.02	არასაოპერაციო ზარალი	8220		13.500
	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში		1310	13.500
	აქციების ჩამოფასებით ზარალის აღიარება			

**ამოცანა 7. ინვესტიციები გრძელვადიან წილობრივ ინსტრუმენტებში.**

სამი წლის წინ კომპანიამ შეიძინა A, B და C კომპანიების აქციები და გადაიხადა შესაბამისად 500 ათას ლარი, 250 ათას ლარი და 120 ათასი ლარი. კომპანიისათვის ეს ინვესტიციები არის „სარეზერვო ბიზნეს-მოდელის“ ნაწილი და იმართება მისი სტრატეგის ფარგლებში გრძელვადიანი სტაბილურობისა და მაღალი მოგების მიღწევამდე. შემენილი წილები არ იძლევა კონტროლისა და არანაირი გავლენის უფლებას.

**დავალება: ასახეთ ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში.**

**პასუხი:**

ასეთი ტიპის ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებში აისახება თვითღირებულებით.

ოპერაციების საჭურნალო გატარებები:

წელი	ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	2410		870,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	870,000
	ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში			



## თემა 9. აქტივების გაუფასურება (ბასს 36)

**ამოცანა 1. სპორტული კლუბის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები.**

სპორტული კლუბის დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა სავარჯიშო მოწყობილობებით, ხელშეკრულების თანახმად ემსახურება მხოლოდ აუზისა და ჩოგბურთის კორტების აბონიმენტების მფლობელებს.

**დავალება:** დაადგინეთ სპორტული კლუბის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები.

**პასუხი:**

რადგან სპორტული მოწყობილობების მიერ ფულადი სახსრების გამომუშავება დამოკიდებულია აუზისა და კორტების ფულად ნაკადებზე, მათი გამოყენების ღირებულება ცალკე ვერ იქნება შეფასებული, ამიტომ მთლიანად კლუბი წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს.

**ამოცანა 2. ავტოსატრანსპორტო საწარმოს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები.**

ავტოსატრანსპორტო საწარმო ემსახურება ახლომდებარე სოფლებს, მას აქვს ლიცენზია ოთხ მარშრუტზე, ყოველ მარშრუტს ემსახურება ათი მიკროავტობუსი.

**დავალება:** დაადგინეთ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები.

**პასუხი:**

რადგან თითოეული მარშრუტის მიერ გამომუშავებული ფულადი სახსრები არ არის დამოკიდებული სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფიდან მისაღებ ფულად სახსრებზე, ფულადი სახსრების შემოდინების უმცირესი იდენტიფიცირებადი დონე

არის ოთხივე მარშრუტიდან მიღებული ფულადი სახსრები. თითოეული მარშრუტისათვის ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს (უმცირეს ჯგუფს) წარმოადგენს ერთი მარშრუტის ათი მიკროავტობუსი.

**ამოცანა 3. ჩარხის გამოყენების ღირებულების განსაზღვრა.**

საწარმო ფლობს ჩარხს, რომელზეც იწარმოება ავტომანქანის ერთ-ერთი ნაწილი. მარკეტინგული კვლევით დადგინდა, რომ ამ ნაწილის წარმოება მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად გაიზრდება 5%-ით. მიმდინარე წელს ამ ნაწილის გაყიდვით საწარმომ მიიღო 55,000 ლარის შემოსავალი. საწარმოს მენეჯმენტი თვლის, რომ ჩარხი სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად გამოიმუშავებს ფულად ნაკადებს.

**დავალება:** განსაზღვრეთ ჩარხის გამოყენების ღირებულება 12%-იანი საბაზრო საპროცენტი განაკვეთით.

**პასუხი:**

აქტივის გამოყენების ღირებულება არის მომავალში მისაღები წმინდა ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში:

წელი	გაყიდვებიდან ფულადი სახსრების ნაკადები	დისკონტირების კოეფიციენტი	დისკონტირებული ღირებულება
1	$55,000 * 1.05 = 57,750$	$1/(1.12)^1 = 0.8929$	$57,750 * 0.8929 = 51,565$
2	$57,750 * 1.05 = 60,638$	$1/(1.12)^2 = 0.7972$	$60,638 * 0.7972 = 48,340$
3	$60,638 * 1.05 = 63,669$	$1/(1.12)^3 = 0.7118$	$63,669 * 0.7118 = 45,320$
4	$63,669 * 1.05 = 66,853$	$1/(1.12)^4 = 0.6355$	$66,853 * 0.6355 = 42,485$
5	$66,853 * 1.05 = 70,195$	$1/(1.12)^5 = 0.5674$	$70,195 * 0.5674 = 39,829$
			<b>227,630</b>

**ამოცანა 4. გაუფასურების ზარალის განსაზღვრა.**

ცხრილში წარმოდგენილია სამი სხვადასხვა სიტუაცია.

დანადგარი (ათასი ლარი):

სიტუაცია	საბალანსო ღირებულება (ტესტირებამდე)	გამოყენების ღირებულება	ნეტო სარეალიზაციო ფასი
1	300	330	350
2	300	250	200
3	300	250	280

დავალება: ყველა სიტუაციისათვის განსაზღვრეთ დანადგარის გაუფასურების ზარალი და საბალანსო ღირებულება.

**პასუხი:**

საბალანსო ღირებულება (ტესტირებამდე)	გამოყენების ღირებულება	ნეტო სარეალიზაციო ფასი	ანაზღაურებადი ღირებულება (უდიდესი სვ.2 და სვ.3 შორის)	გაუფასურების ზარალი (სვ.1-სვ.4)	საბალანსო ღირებულება (ტესტირების შემდეგ)
1	2	3	4	5	6
<b>სიტუაცია 1</b>					
300	330	გამოყენების ღირებულება აღემატება საბალანსო ღირებულებას. არ არის საჭირო გაანგარიშებების გაგრძელება. აქტივი არ არის გაუფასურებული	არ აღიარდება	300	
<b>სიტუაცია 2</b>					
300	250	200	250 (უფრო მომგებიანია აქტივის გამოყენება, ვიდრე გაყიდვა)	50 (300-250)	250
<b>სიტუაცია 3</b>					
300	250	280	280 (უფრო მომგებიანია	20 (300-280)	280

			აქტივის გაყიდვა, ვიდრე გამოყენება		
--	--	--	--	--	--

ამოცანა 5. პლასტმასის საწარმოს კონკრეტული აქტივების გაუფასურების ზარალის განსაზღვრა.

პლასტმასის წარმოების საწარმომ მოახდინა ცალკეული აქტივების მიხედვით ნეტო სარეალიზაციო ფასისა და გამოყენების ღირებულების განსაზღვრა. ცხრილში წარმოდგენილია სათანადო მონაცემები მოწყობილობების შესახებ (ლარი):

ძირითადი საშუალებები	საბალანსო ღირებულება	ნეტო სარეალიზაციო ფასი	გამოყენების ღირებულება
მოწყობილობა № 1	345,200	300,000	400,700
მოწყობილობა № 2	123,800	102,300	95,000
მოწყობილობა № 3	278,560	250,000	247,800

დავალება: განსაზღვრეთ მოწყობილობების გაუფასურების ზარალი.

პასუხი:

მოწყობილობების გაუფასურების ზარალი (ლარი)

ძირითადი საშუალებები	საბალანსო ღირებულება	ანაზღაურებადი ღირებულება	გაუფასურების ზარალი (სვ.2-სვ.3)
1	2	3	4
მოწყობილობა № 1	345,200	400,700	0
მოწყობილობა № 2	123,800	102,300	21,500 (102,300 - 123,800)
მოწყობილობა № 3	278,560	250,000	28,560 (250,000 - 278,560)

მეორე და მესამე მოწყობილობა გაუფასურებულია.

**ამოცანა 6. გუდვილი და გაუფასურების ზარალი.**

სათავო საწარმომ მოახდინა თავისი აქტივების, რომელიც მოიცავს გუდვილს, ორ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულად დაჯგუფება. პირველი ერთეულის საბალანსო ღირებულება შეფასდა 500,000 ლარად, მეორესი – 257,500 ლარად. გუდვილის, რომელიც შეფასებულია 150,000 ლარად, მიკუთვნება ფულადი სახსრების კონკრეტული ერთეულისათვის შეუძლებელია. ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდა: პირველი ერთეულის – 440,000 ლარად; მეორე ერთეულის – 350,000 ლარად.

**დავალება: განსაზღვრეთ გაუფასურების ზარალი.**

**პასუხი:**

გაუფასურების ზარალის განსაზღვრა (ლარი)

	მაჩვენებლები	ერთეული 1	ერთეული 2	გუდვილი	ჯამი
1	საბალანსო ღირებულება	500,000	257,500	150,000	907,500
2	აქტივების ღირებულების ხვედრითი წილი*	66%	34%		
3	გუდვილის ღირებულების განაწილება**	99,000	51,000	(150,000)	–
4	საბალანსო ღირებულება გუდვილის გადანაწილების შემდეგ (სტრ.1 + სტრ.3)	599,000	308,500	–	907,500
5	ანაზღაურებადი ღირებულება	440,000	350,000	–	
6	გაუფასურების ზარალი (სტრ. 4 - სტრ.5)	159,000	–	–	(159,000)

\*პირველი ერთეული:  $[500,000 / (500,000 + 257,500)] * 100 = 66\%$ ;

მეორე ერთეული:  $[257,500 / (500,000 + 257,500)] * 100 = 34\%$ .

\*\* პირველი ერთეული:  $150,000 * 66\% = 99,000$  ლარი;

მეორე ერთეული:  $150,000 * 34\% = 51,000$  ლარი.

გაუფასურდა პირველი ერთეული, გაუფასურება შეადგენს 159,000 ლარს (599,000 - 440,000). ამ თანხით ჯერ შემცირდება გუდვილი, არსებული თანხის ფარგლებში, ხოლო დარჩენილი თანხა – გადანაწილდება პირველ ერთეულში შემავალ აქტივებზე მათი საბალანსო ღირებულების პროპორციულად. ამდენად 159,000 ლარი გადანაწილდება 150,000 ლარის ოდენობით გუდვილზე, ხოლო 9,000 ლარი (159,000 - 150,000) – პირველ ერთეულზე, შედეგად ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალის ჩამოწერის შემდეგ იქნება (იხ.ცხრილი):

ცხრილი (ლარი)

მაჩვენებლები	ერთეული 1	ერთეული 2	გუდვილი	ჯამი
საბალანსო ღირებულება გაუფასურებამდე	500,000	257,500	150,000	907,500
საბალანსო ღირებულება გაუფასურების შემდეგ	491,000 (500,000 - 9,000)	257,500	0	748,500

გაუფასურება აისახება გატარებით:

დებეტი - 8220 სხვა არასაოპერაციო ზარალი 159,000  
 კრედიტი - 2540 გუდვილი 150,000  
 კრედიტი - აქტივი 9,000

**ამოცანა 7. კორპორაციული აქტივები და გაუფასურების ზარალი.**

სათავო საწარმომ მოახდინა თავისი აქტივების ორი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულად დაჯგუფება. პირველი ერთეულის საბალანსო ღირებულება შეფასდა 500,000 ლარად, მეორესი – 257,500 ლარად. საწარმოს კორპორაციული აქტივები შეფასებულია 200,000 ლარად. ანაზღაურებადი ღირებულება პირველი ერთეულის შეფასდა 440,000 ლარად, ხოლო მეორე ერთეულის – 350,000 ლარად.

**დავალება: განსაზღვრეთ გაუფასურების ზარალი.**

**პასუხი:**

გაუფასურების ზარალი (ლარი):

	მაჩვენებლები	ერთეული 1	ერთეული 2	კორპორა- ციული აქტივები	ჯამი
1	საბალანსო ღირებულება	500,000	257,500	200,000	957,500
2	აქტივების ღირებულების ხვედრითი წილი*	66%	34%		
3	კორპორაციული აქტივების ღირებულების განაწილება**	132,000	68,000	(200,000)	–
4	საბალანსო ღირებულება კორპორაციული აქტივების ღირებულების გადანაწილების შემდეგ (სტრ.1 + სტრ.3)	632,000	325,500	–	957,500
5	ანაზღაურებადი ღირებულება	440,000	350,000		
6	გაუფასურების ზარალი (სტრ.4 - სტრ.5)	192,000			(192,000)

\*პირველი ერთეული:  $[500,000 / (500,000 + 257,500)] * 100 = 66\%$ ;

მეორე ერთეული:  $[257,500 / (500,000 + 257,500)] * 100 = 34\%$ .

\*\* პირველი ერთეული:  $200,000 * 66\% = 132,000$  ლარი;

მეორე ერთეული:  $200,000 * 34\% = 68,000$  ლარი.

პირველი ერთეულის გაუფასურების ზარალი შეადგენს 192,000 ლარს (632,000 - 440,000).

დებეტი - არასაოპერაციო ზარალი 192,000

კრედიტი - კორპორაციული აქტივები 192,000

**ამოცანა 8. ღვინის ჩამოსასხმელი ხაზის გაუფასურების ზარალის აღრიცხვა.**

ღვინის ჩამოსასხმელი ხაზის საბალანსო ღირებულება 300,000 ლარია, ანაზღაურებადი ღირებულება – 250,000 ლარია. აქტივის დარჩენილი გამოყენების ვადა 10 წელია.

დავალება: ასახეთ საჟურნალო გატარებით აქტივის გაუფასურება, როდესაც აქტივი აღირიცხება:

- ა) თვითღირებულების მოდელით;
- ბ) გადაფასების მოდელით. გადაფასების რეზერვი შეადგენს 60,000 ლარს.

პასუხი:

ა) გაუფასურების ზარალი - აქტივი აღირიცხება თვითღირებულების მოდელით. აქტივი გაუფასურდა 50,000 ლარით (250,000 - 300,000). მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი იქნება:  $250,000/10წ. = 25,000$  ლარი. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება გაუფასურების ზარალის ხარჯი 50,000 ლარი და ცვეთის ხარჯი 25,000 ლარი. გაუფასურება აისახება შემდეგი საჟურნალო გატარებებით:

№	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	არასაოპერაციო ზარალი	8220		50,000
	მანქანა-დანადგარები		2150	50,000
	გაუფასურების ზარალის აღიარება ჩარხის ღირებულების კორექტირებით			
2	ცვეთის ხარჯი	7170		25,000
	დაგროვილი ცვეთა		2250	25,000
	მიმდინარე წლის ცვეთის დარიცხვა			

მიმდინარე წლის ბოლოს: ბალანსში აქტივი შეფასდება 225,000 ლარად (250,000 - 25,000); გადაფასების რეზერვი – ნული; მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში – ხარჯი 75,000 ლარი (გაუფასურების ზარალი 50,000 ლარი და ცვეთის ხარჯი 25,000 ლარი):

**ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან**

**წლის ბოლოსათვის (ლარი)**

<b>ღვინის ჩამოსასხმელი ხაზი:</b>	
თვითღირებულება	250,000
დაგროვილი ცვეთა	<u>(25,000)</u>
საბალანსო ღირებულება	225,000

**ამონარიდი წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან**

	ლარი
ღვინის ჩამოსასხმელი ხაზის გაუფასურების ზარალი	50,000
ცვეთის ხარჯი	25,000

ბ) გაუფასურების ზარალი - აქტივი აღირიცხება გადაფასების მოდელით.

აქტივის გაუფასურების ზარალი 50,000 ლარი ჩამოიწერება გადაფასების რეზერვიდან, ცვეთის ხარჯი იქნება 25,000 ლარი. გაუფასურება აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5420		50,000
	მანქანა-დანადგარები		2150	50,000
	გაუფასურების ზარალის ჩამოწერა გადაფასების რეზერვიდან			
2	ცვეთის ხარჯი	7170		25,000
	დაგროვილი ცვეთა		2250	25,000
	მიმდინარე წლის ცვეთის დარიცხვა			

მიმდინარე წლის ბოლოს: ბალანსში აქტივი შეფასდება 225,000 ლარად; გადაფასების რეზერვი – 10,000 ლარი; მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში – ხარჯი 25,000 ლარი:

**ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან წლის ბოლოსათვის (ლარი)**

<b>ღვინის ჩამოსასხმელი ხაზი:</b>	
თვითღირებულება	250,000
დაგროვილი ცვეთა	<u>(25,000)</u>
საბალანსო ღირებულება	225,000

გადაფასების რეზერვი	10,000
---------------------	--------

**ამონარიდი წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან**

	ლარი
ცვეთის ხარჯი	25,000



## თემა 10. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (ბასს 37)

### ამოცანა 1. გარანტიები (იურიდიული ვალდებულება).

კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი კომპანია პროდუქციის გაყიდვის დროს მყიდველებს აძლევს გარანტიას. რეალიზაციის ხელშეკრულების თანახმად, მწარმოებელი ვალდებულია გამოასწოროს საწარმოო წუნი – შეაკეთოს ან გამოცვალოს პროდუქცია, რომელიც აღმოჩენილი იქნება გაყიდვიდან სამი წლის განმავლობაში.

სააღრიცხვო პილიტიკით, წარსული გამოცდილების საფუძველზე, საგარანტიო ვალდებულებების შესასრულებლად წლის ბოლოს იქმნება ანარიცხები წლიური გაყიდვების 2% ოდენობით, რომელიც მიეკუთვნება კომერციის ხარჯებს. საგარანტიო მომსახურების ანარიცხების ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 200,000 ლარს, მიმდინარე წელს გაწეულ იქნა 155,000 ლარის საგარანტიო მომსახურება, მომავალი წლისათვის ვარაუდობენ, რომ სჭირო იქნება 250,000 ლარი.

**დავალება:** განსაზღვრეთ და საჭურნალო გატარებებით ასახეთ საგარანტიო ვალდებულებების აღიარება და შესრულება.

### პასუხი:

ოპერაციები აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	საგარანტიო მომსახურების ანარიცხები	4320		155,000
	სხვადასხვა ხარჯები		1620,3110,121 0	155,000
	საგარანტიო ვალდებულების შესრულება			
2	საგარანტიო მომსახურების ანარიცხების ხარჯები	7380		205,000
	საგარანტიო მომსახურების ანარიცხები		4320	205,000
	საგარანტიო ვალდებულების აღიარება {(200,000-155,000) - 250,000}			

**ამოცანა 2. დაბინძურებული გარემო (კონსტრუქციული ვალდებულება).**

საწარმო ვაჭრობს საწვავით და ეწევა ავტომანქანების რეცხვას, რის გამო ბინძურდება გარემო. მის ქვეყანაში არ არსებობს გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი საწარმოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც არის ფართოდ რეკლამირებული და რომელიც ითვალისწინებს საწარმოს მიერ ყველა სახის დაბინძურების გაწმენდას.

მისი საადრიცხვო პოლიტიკით ყოველწლიურად შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად იქმნება ანარიცხები, რომლის სიდიდე განისაზღვრება შემუშავებული შესაბამისი სანიტარული ნორმების საფუძველზე. ანარიცხები იქმნება წლის ბოლოს, მიმდინარე წლის დასაწყისში ანარიცხების ნაშთმა შეადგინა 45,000 ლარი, ხოლო მომავალი წლისათვის შეფასებულმა სიდიდემ შეადგინა 59,000 ლარი, მიმდინარე წელს გაწმენდითი სამუშაოების შესასრულებლად დაიხარჯა 50,000 ლარი. ვალდებულებების შესასრულებლად გაწეული ხარჯები მიეკუთვნება კომერციის ხარჯებს.

**დავალება: განსაზღვრეთ და ასახეთ საჟურნალო გატარებებით ვალდებულებების აღიარება და შესრულება.**

**პასუხი:**

ოპერაციები აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	სხვა ანარიცხები	4390		45,000
	მიწოდების სხვა ხარჯები	7390		5,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	50,000
	გარემოს დაბინძურების ვალდებულების შესრულება			
2	მიწოდების სხვა ხარჯები	7390		59,000
	სხვა ანარიცხები		4390	59,000
	გარემოს დაბინძურების ვალდებულების			

**ამოცანა 3. გადახდილი თანხის დაბრუნების პოლიტიკა (კონსტრუქციული ვალდებულება).**

ტანსაცმლით მოვაჭრე მაღაზიის პოლიტიკა ითვალისწინებს მყიდველების მოთხოვნით გაყიდული საქონლის და გადახდილი თანხის დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს თანხის დაბრუნების იურიდიული მოვალეობა. მაღაზიის ეს პოლიტიკა ფართოდ არის ცნობილი.

საადრიცხვო პოლიტიკით წლის ბოლოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნებისათვის იქმნება ანარიცხები გაყიდვების 5%-ის ოდენობით, რაც მიეკუთვნება კომერციის ხარჯებს. მიმდინარე წელს დაბრუნებული იყო 25,900 ლარის საქონელი (თვითღირებულება 25,000 ლარი), ანარიცხების საწყისი ნაშთი იყო 30,000 ლარი, წლის ბოლოს – 47,000 ლარი.

დაბრუნებულ საქონელს ყიდის შესაძლო სარეალიზაციო ფასად „მეორადი ტანსაცმლის“ მაღაზიებზე. მიმდინარე წელს დაბრუნებული საქონელი გაიყიდა 7,000 ლარად.

**დავალება:** განსაზღვრეთ და ასახეთ საჭურნალო გატარებებით ვალდებულებების აღიარება და შესრულება.

**პასუხი:**

ოპერაციები აისახება შემდეგი გატარებებით:

№	ანგარიშების დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	გაყიდული საქონლის დაბრუნება	6120		25,900
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	25,900
	გაყიდვების უკან დაბრუნება და თანხის დაბრუნებაზე ვალდებულების აღიარება			
2	საქონელი	1610		25,000
	საქონლის უკან დაბრუნება		7220	25,000
	საქონლის დაბრუნება			
3	შემოსავალი რეალიზაციიდან	6110		25,900
	გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება		6120	25,900

	შემოსავლების კორექტირება (შემცირება)			
4	საქონლის უკან დაბრუნება	7220		25,000
	გაყიდული საქონლის თვითღირებულება		7210	25,000
	გაყიდული საქონლის თვითღირებულების კორექტირება (შემცირება)			
5	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		25,900
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	25,900
	ვალდებულების დაფარვა – თანხის დაბრუნება			
6	სხვა ანარიცხები	4390		25,000
	საქონელი		1610	25,000
	საქონლის განადგურება (ზარალი ჩამოიწერა ანარიცხების ხარჯზე)			
7	მიწოდების სხვა ხარჯები	7390		42,000
	სხვა ანარიცხები		4390	42,000
	წლის ბოლოს ანარიცხების კორექტირება {47,000 - (30,000-25,000)}			

#### ამოცანა 4. წამგებიანი ხელშეკრულება.

რესტორანების ქსელის მფლობელმა კომპანიამ ხუთწლიანი იჯარით აიღო ქალაქში ერთ-ერთი პოპულარული რესტორანი (შენობა და მოწყობილობები). მეორე წლის ბოლოს აშკარა გახდა, რომ ეს კონტრაქტი მისთვის არის წამგებიანი. კონტრაქტის პირობებით ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში მას მოუწევს საიჯარო გადასახდელებზე მეტად დიდი ოდენობის ჯარიმის გადახდა და დაუშვებელია შენობისა და მოწყობილობების ქვეიჯარით გადაცემა სხვა მოიჯარისათვის. დარჩენილი სამი წლის განმავლობაში კომპანიას ყოველი წლის ბოლოს გადასახდელი აქვს 25,000 ლარი, სულ 75,000 ლარი, ხოლო კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში მოუწევს 120,000 ლარის ჯარიმის გადახდა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წამგებიან კონტრაქტთან დაკავშირებით საიჯარო გადასახდელებისათვის ანარიცხების შექმნა უმცირესი თანხით. დავალება. ასახეთ საიჯარო ვალდებულებებისათვის ანარარიცხების შექმნა.

#### პასუხი:

გადასახდელი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება:

PVA (3, 12%) 75,000 \* 2.40183 = 60,045 ლარი.

ვალდებულების ამორტიზება (ლარი)

წელი	ვალდებულების საწყისი ნაშთი	საპროცენტო ხარჯი (სვ. 1*12%)	ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (1+2)	ვალდებულების დაფარვა	ვალდებულების საბოლოო ნაშთი (3-4)
	1	2	3	4	5
1	60,045	7,205	67,250	(25,000)	42,250
2	42,250	5,070	47,320	(25,000)	22,320
3	22,320	<u>2,680</u>	25,000	<u>(25,000)</u>	0
		14,955		75,000	

ოპერაციები აისახება შემდეგი გატარებებით:

წელი	ანგარიში	დებეტი	კრედიტი	ლარი	
1	ძირითადი საშუალებების იჯარის ხარჯები	7360		60,045	
	სხვა ანარიცხები		4390	60,045	
	ხარჯის და ანარიცხების აღიარება (მომავალი ზარალი დისკონტირებული ღირებულებით მთლიანად აღიარა მიმდინარე წელს)				
	საპროცენტო ხარჯი	8210		7,205	
	სხვა ანარიცხები		4390	7,205	
	საფინანსო ხარჯის აღიარება და ვალდებულების ამორტიზება				
	სხვა ანარიცხები	4390		25,000	
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	25,000	
	მეიჯარის მიმართ ვალდებულების აღიარება				
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		25,000	
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	25,000	
	ვალდებულების დაფარვა				
2	საპროცენტო ხარჯი	8210		5,070	
	სხვა ანარიცხები		4390	5,070	
	საფინანსო ხარჯის აღიარება და ვალდებულების ამორტიზება				
	სხვა ანარიცხები	4390		25,000	
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	25,000	
	მეიჯარის მიმართ ვალდებულების აღიარება				

	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		25,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	25,000
	ვალდებულების დაფარვა			
3	საპროცენტო ხარჯი	8210		2,680
	სხვა ანარიცხები		4390	2,680
	საფინანსო ხარჯის აღიარება და ვალდებულების ამორტიზება			
	სხვა ანარიცხები	4390		25,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	25,000
	მეიჯარის მიმართ ვალდებულების აღიარება			
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		25,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	25,000
	ვალდებულების დაფარვა			

4390 ანგარიშის ილუსტრირება:

დებიტი	4390 სხვა ანარიცხები	კრედიტი	
		1წ. ხარჯი	
		60,045	
1წ. ფულის გადახდა	25,000	1წ. ამორტიზება/ხარჯი	7,205
2წ. ფულის გადახდა	25,000	2წ. ამორტიზება/ხარჯი	5,070
3წ. ფულის გადახდა	<u>25,000</u>	3წ. ამორტიზება/ხარჯი	<u>2,680</u>
	75,000		75,000

**ამოცანა 5. ექსპლუატაციიდან გამოსვლის ხარჯები.**

საწარმომ შეიძინა მანქანა-დანადგარები, რომელთა თვითღირებულებამ შეადგინა 750,000 ლარი. საწარმოს აქვს 15 წლის შემდეგ გასაწევი მანქანა-დანადგარების დემონტაჟისა და ადგილმდებარეობის აღდგენის ვალდებულება, რომელიც შეფასდა 50,000 ლარად. დისკონტირების განაკვეთად მიჩნეულია 15%. თხუთმეტი წლის შემდეგ ჩატარებულ დემონტაჟზე დაიხარჯა 58,000 ლარი.

**დავალება: საჟურნალო გატარებებით ასახეთ:**

1. აქტივისა და ვალდებულების აღიარება;
2. პირველ წელს აქტივების ცვეთის დარიცხვა;

3. პირველი ორი წლის ვალდებულების ამორტიზება;
4. მე-15 წლის ბოლოს ვალდებულების შესრულება (აქტივის დემონტაჟი).

**პასუხი:**

პირველ რიგში უნდა შევავასოთ აქტივი და ვალდებულება. აქტივი და ვალდებულება ფასდება დისკონტირებული ღირებულებით, 50,000 ლარის დისკონტირებული ღირებულება შეადგენს 6,145 ლარს (PV 15%, 15წ.;  $50,000 \cdot 0.1229$ ). ამდენად, დემონტაჟის ხარჯები აღიარდება აქტივად და ვალდებულებად 6,145 ლარის ოდენობით. ცხრილში მოტანილი მონაცემების საფუძველზე ყოველწლიურად მოხდება ვალდებულების ამორტიზება – გაზრდა საპროცენტო ხარჯის სიდიდით, მეთხუთმეტე წლის ბოლოს ვალდებულება გაუტოლდება 50,000 ლარს.

წელი	ძირითადი თანხა	პროცენტი	საპროცენტო ხარჯი
1	6,145	0,15	922
2	7,067	0,15	1,060
3	8,127	0,15	1,219
4	9,346	0,15	1,402
5	10,748	0,15	1,612
6	1,2360	0,15	1,854
7	14,214	0,15	2,132
8	16,346	0,15	2,452
9	18,798	0,15	2,820
10	21,617	0,15	3,243
11	24,860	0,15	3,729
12	28,589	0,15	4,288
13	32,877	0,15	4,932
14	37,809	0,15	5,671
15	43,480	0,15	6,522
	50,002		

დემონტაჟის ხარჯების აქტივად და ვალდებულებად აღიარება, პირველი ორი წლის ვალდებულების ამორტიზება და ვალდებულების დაფარვა აისახება შემდეგი გატარებებით:

წელი	ანგარიში	დებიტი	კრედიტი	ლარი
1	მანქანა-დანადგარები	2150		750,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	750,000
	მანქანა-დანადგარების აქტივად აღიარება			
1	სხვა ძირითადი საშუალებები (დემონტაჟის ხარჯები)	2190		6,145
	სხვა ანარიცხები		4390	6,145
	დემონტაჟის ხარჯების აქტივად (სააღრიცხვო ერთეულად) და ანარიცხების აღიარება			
1	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7170		50,000
	მანქანა-დანადგარების ცვეთა		2250	50,000
	მოწყობილობის ცვეთის დარიცხვა ( $750,000 * 1/15$ )			
1	საპროცენტო ხარჯი	8210		922
	სხვა ანარიცხები		4390	922
	საფინანსო ხარჯის აღიარება და ანარიცხების ამორტიზება			
2	საპროცენტო ხარჯი	8210		1,060
	სხვა ანარიცხები		4390	1,060
	საფინანსო ხარჯის აღიარება და ანარიცხების ამორტიზება			
3-14	და ა.შ. ანარიცხების ამორტიზება			
15	სხვა ანარიცხები	4390		50,000
	არასაოპერაციო ზარალი	8220		8,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	58,000
	მანქანა-დანადგარების დემონტაჟი და ანარიცხების გამოყენება			

#### ამოცანა 6. სასამართლო საქმე.

კომპანიამ არაკომპეტენტურობის მიზეზით, რაც საჯაროდ იქნა გაცხადებული კომპანიის მენეჯმენტით, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე სამსახურიდან დაითხოვა

ხუთი თანამშრომელი. ეს ფაქტი გახდა სასამართლო დავის საკითხი. დათხოვნილი თანამშრომლები ითხოვენ ორი თვის ხელფასის და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებას, ასევე თითოეულისათვის 5,000 ლარის კომპენსაციას რეპუტაციის შელახვისათვის.

ადვოკატების მოსაზრებით საწარმოს დაეკისრება ვალდებულება ორი თვის ხელფასის და შვებულების კომპენსაციის სახით, რაც მოთხოვნილია ქვეყანაში მოქმედი შრომითი კანონმდებლობით, რომლის სიდიდე გათვლებით შეადგენს 80,000 ლარს. ადვოკატები დარწმუნებულები არიან, რომ რეპუტაციის შელახვისათვის მოთხოვნილი კომპენსაციის გადახდა მათ არ მოუწევს, ვინაიდან მათი დათხოვნა მოხდა საკმაოდ დასაბუთებულად და ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნება მათ სასარგებლოდ.

სასამართლო დავა სავარაუდოდ დასრულდება მომდევნო წლის მაისში.  
**დავალება:** ასახეთ საჟურნალო გატარებებით სასამართლო დავის ანარიცხების (ვალდებულების) აღიარება.

**პასუხი:**

ოპერაციები აისახება შემდეგი გატარებით:

№	ანგარიში	დებიტი	კრედიტი	ლარი
	ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები	7480		80,000
	სვა ანარიცხები		4390	80,000
	ვალდებულების აღიარება			

**ამოცანა 7. ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.**

კომპანიამ ბანკს გასცა 200 ათას ლარის ფინანსური გარანტია თავის შვილობილი კომპანიის სესხზე, რომელიც აღებულია სამი წლით 10%-იანი საბაზრო განაკვეთით. შვილობილი კომპანიის ფინანსური მდგომარეობა არ არის სტაბილური, რის გამოც კომპანიამ გარანტად დადგომისთანავე დაასაბუთა და გადაწყვიტა ვალდებულების აღიარება.

პირველ წელს კომპანიას მოუწია 50,000 ლარის გადახდა, მეორე წელს – 90,000 ლარის და მესამე წელს – 35,000 ლარის.

**დავალება. ასახეთ საქურნალო გატარებებით ვალდებულების აღიარება და დაფარვა.**

**პასუხი:**

გადასახდელი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება:

$$PV (3, 10\%) 200,000 * 0.7513 = 150,260 \text{ ლარი.}$$

ვალდებულების ამორტიზება (ლარი)

წელი	ვალდებულების საწყისი ნაშთი	საპროცენტო ხარჯი (სვ. 1*12%)	ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (1+2)	ვალდებულების დაფარვა	ვალდებულების საბოლოო ნაშთი (3-4)
	1	2	3	4	5
1	150,260	15,026	165,286	(50,000)	115,286
2	115,286	11,529	126,815	(90,000)	36,815
3	36,815	<u>3,681</u>	40,496	<u>(35,000)</u>	5,496
	5,496				

ოპერაციები აისახება შემდეგი გატარებებით:

წელი	ანგარიში	დებეტი	კრედიტი	ლარი	
1	ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები	7480		150,260	
	სხვ ანარიცხები		4390	150,260	
	ანარიცხების აღიარება დისკონტირებული ღირებულებით				
	საპროცენტო ხარჯი	8210		15,026	
	სხვ ანარიცხები		4390	15,026	
	ვალდებულების ამორტიზება				
	სხვ ანარიცხები	4390		50,000	
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	50,000	
	ბანკის მიმართ ვალდებულების აღიარება				
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		50,000	
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	50,000	

	ბანკისათვის ფულის გადარიცხვა			
2	საპროცენტო ხარჯი	8210		11,529
	სხვ ანარიცხები		4390	11,529
	ვალდებულების ამორტიზება			
	სხვ ანარიცხები	4390		90,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	90,000
	ბანკის მიმართ ვალდებულების აღიარება			
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		90,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	90,000
	ბანკისათვის ფულის გადარიცხვა			
3	საპროცენტო ხარჯი	8210		3,681
	სხვ ანარიცხები		4390	3,681
	ვალდებულების ამორტიზება			
	სხვ ანარიცხები	4390		35,000
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3190	35,000
	ბანკის მიმართ ვალდებულების აღიარება			
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190		35,000
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1210	35,000
	ბანკისათვის ფულის გადარიცხვა			
	სხვ ანარიცხები	4390		5,496
	არასაოპერაციო მოგება		8130	5,496
	ანარიცხების ანგარიშის დახურვა და ნაშთით მოგების აღიარება (ვალდებულების შესასრულებლად აღიარებული ხარჯი ფაქტობრივად გაწეულზე მეტი აღმოჩნდა)			

**ამოცანა 8. საწარმოს რესტრუქტურისა.**

ღვინის წარმოების კორპორაციამ გამოაცხადა რესტრუქტურისა გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვეში ერთ-ერთ რეგიონში მდებარე ქარხანა წყვეტს საქმიანობას (იხურება). კორპორაციის ხელმძღვანელობას შრომითი ხელშეკრულებით აქვს საქმიანობის შეწყვეტაზე კომპენსაციის გაცემის იურიდიული ვალდებულება. გათვლებით ვალდებულება შეფასდა 150 ათას ლარად.

**დავალება:** ასახეთ საჟურნალო გატარებით რესტრუქტურისა და დაკავშირებით ანარიცხების შექმნა.

**პასუხი:**

ოპერაციები აისახება შემდეგი გატარებით:

№	ანგარიში	დებიტი	კრედიტი	ლარი
	ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები	7480		150,000
	სვა ანარიცხები		4390	150,000
	ვალდებულების აღიარება			

**ამოცანა. 9. პრობითი აქტივი (სადაზღვევო სარჩელი).**

ავტოსატრანსპორტო კომპანიას ავტომანქანები დაზღვეული აქვს საგზაო შემთხვევებისაგან. მიმდინარე წელს მას მოუხდა რამდენიმე ავტოავარია, რის ანაზღაურებაზე 25 აგვისტოს წარდგენილი იყო შესამამისი დოკუმენტაცია 80,000 ლარის საერთო ღირებულებით. მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა 5 ოქტომბერს.

**დავალება:** ასახეთ საჟურნალო გატარებით პრობითი აქტივის აღიარება.

**პასუხი:**

ოპერაციები აისახება შემდეგი გატარებით:

თარიღი	ანგარიში	დებიტი	კრედიტი	ლარი
25 აგვისტო	არანაირი ჩანაწერი არ კეთდება			
5 ოქტომბერი	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1210		80,000
	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		8190	80,000
	საკომპენსაციო თანხის მიღება			

**ამოცანა 10. პირობითი აქტივი (სასამართლო სარჩელი).**

სამედიცინო კლინიკა სასამართლოში უჩივის ერთ-ერთ ტელეკომპანიას მისი რეპუტაციის შემლახავი გადაცემების გამო და ითხოვს მორალური ზიანის კომპენსაციას 100 ათასი ლარის ოდენობით. კლინიკის სარჩელი იქნა დაკმაყოფილებული. ტელეკომპანიას აქვს ფინანსური პრობლემები და ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს უცნობია თუ როდის დაკმაყოფილდება კლინიკის სარჩელი.

**დავალება:** იმსჯელეთ პირობითი აქტივის აღიარების შესახებ.

**პასუხი:**

პირობითი აქტივი არ აღიარდება, ვინაიდან ჯერ-ჯერობით უცნობია მისი დაკმაყოფილების ვადა.